

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო
უნივერსიტეტი

ქართული ფილოლოგია

მახარაძე თეონა

**ნიკოლოზ ბერძნიშვილი, ჟურნალ „ცისკრის“ პირველი
შემფასებელი, ლიტერატურისმცოდნე და კრიტიკოსი**

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფ. გურამ ბახტაძე

ხიჭაური

2020

ანოტაცია

XIX საუკუნის ისტორიკოსის, ეთნოგრაფის, ქართული რეალისტური სალიტერატურო კრიტიკის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენლის, ნიკოლოზ ბერძნიშვილის სტატიები უხვად შეიცავს ლიტერატურისმცოდნეობის საკითხებს. მის წერილებში ხშირად ვაწყდებით ევროპელი მწერლების სახელებსა და გვარებს, რაც მკაფიოდ ცხადყოფს, როგორც საკუთრივ ავტორის მსოფლმხედველობას, ასევე იმდროინდელი მკითხველის ლიტერატურული აზროვნების შესაძლებლობებს.

ნიკოლოზ ბერძნიშვილი ბევრს საუბრობს პრესის დანიშნულებასა და მნიშვნელობაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა მისი პუბლიკაციები გაზეთ კავკაზში, რომელშიც იგი „ცისკარში“ გამოქვეყნებულ სტატიებს აფასებს. ეპოქის კრიტიკული აზრის შეფასებისთვის მისი ნააზრევი გარკვეულ „ბარომეტრს“ წარმოადგენს.

ნიკოლოზ ბერძნიშვილი ეკუთვნის პირველ თაობას, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა ქართულ ლიტერატურისმცოდნეობას (ჟურნალ „ცისკრის“ სხვა თანამშრომლებთან ერთად). მან პარალელები გაავლო მშობლიურ და ევროპულ ლიტერატურულ ტექსტებს შორის, მოგვცა გარკვეული შენიშვნები, რჩევები და რეკომენდაციები. ჟურნალ „ცისკრისა“ და „კავკაზის“ საშუალებით მან ქართული სიტყვიერება მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში განიხილა. სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება ამ შესანიშნავი ქართველი მეცნიერის ლიტერატურულ-კრიტიკულ მოღვაწეობას.

Annotation

The articles of Nikoloz Berdznishvili, 19th century historian, ethnographer and one of the first representative of Georgian realistic literary criticism, contain a plentiful issues about literary studies. In his letters we often find the names and surnames of the European writers, which clearly shows author's standpoint and literary thinking abilities of the 19th century readers.

Nikoloz Berdznishvili talks about the purpose and importance of the print media. His publications in the newspaper „Кавказ“ where he evaluates the articles published in "Tsiskari" are especially interesting. His viewpoints are key concepts to determine and evaluate critical thinking of the 19th century Georgian society.

Nikoloz Berdznishvili belongs to the first generation, who founded Georgian literary studies (along with other employees of the magazine „Tsiskari“). He drew parallels of native and European literary texts and gave us some remarks, advices and recommendations. With the magazines "Tsisakri" and "Kavkaz" he discussed Georgian language in the context of world literature. The master's thesis is dedicated to the literary-critical activity of this excellent Georgian scientist.

სარჩევი

შესავალი.....	5
თავი I.....	12
ქართული პრესის ისტორიისათვის	12
1.1 „საქართველოს გაზეთი“	12
1.2 „ტფილისის უწყებანი“	13
1.3 „სალიტერატურონი ნაწილნი ტბილისის უწყებათანი“	13
1.4 „კავკასიის მხარეთა უწყებანი“	14
1.5 „კავკაზი“	15
თავი II.....	21
ჟურნალი „ცისკარი“ და მისი თანამშრომლები.....	21
თავი III.....	25
ნიკოლოზ ბერძნიშვილი ჟურნალ „ცისკრის“ პირველი შემფასებელი.....	25
თავი IV	41
ნიკოლოზ ბერძნიშვილი, ლიტერატურისმცოდნე და კრიტიკოსი	41
4.1 მხატვრული პროზისა და პოეზიის თანაფარდობის შესახებ	44
4.2 სასულიერო განათლება, როგორც ქართველთა განათლების ქვაკუთხედი.....	51
4.3 XIX საუკუნის ქართული დრამის ბერძენოვისეული შეფასება.....	54
დასკვნა	59
გამოყენებული ლიტერატურა.....	62

შესავალი

ლიტერატურისმცოდნეობა მხატვრული ლიტერატურის შემსწავლელი მეცნიერებაა, რომელიც განსხვავებულ მეცნიერულ დისციპლინებს: ბიბლიოგრაფიას, წყაროთმცოდნეობასა და ტექსტოლოგიას ეყრდნობა. ის სამ ძირითად დისციპლინას აერთიანებს: ლიტერატურის თეორია, ლიტერატურის ისტორია და ლიტერატურის კრიტიკა.

ლიტერატურის ისტორია ჩამოყალიბდა XIX საუკუნეში და მოიხსენიებოდა როგორც: „ფილოლოგია“, „Scholarship“, „Wissenschaft“. ის შეისწავლის ლიტერატურის განვითარების ისტორიულ კანონზომიერებას, აინტერესებს ნაწარმოების ფორმირების პირობები, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული კონტექსტი, ნაწარმოების შემქმნელ-შემოქმედის პიროვნება თუ ავტორი, როგორც ბიოგრაფიული ფიგურა. ლიტერატურის ისტორიის ამოცანა ტექსტის ახსნაა (ლიტ.მცოდნეობის შესავალი. 2012: გვ.10).

ლიტერატურისმცოდნეობაში, ისევე როგორც მეცნიერების სხვა ნებისმიერ დარგში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ფუნდამენტური შეხედულებების, დებულებების, თეორიების ჩამოყალიბებას, რომელიც შემდგომში გარკვეული გზამკვლევის, მოტივატორის ფუნქციებსაც იძენს და ამ დარგის განვითარების საფუძველს წარმოშობს. ამგვარი არაერთი დებულება და თვალსაზრისი ეკუთვნის ნიკოლოზ ბერძნიშვილს, იგივე ბერძენოვს, რომლის ნაშრომებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს ქართული ლიტერატურისმცოდნეობის, როგორც მეცნიერების დარგის, სისტემურ განვითარებაში; ნ. ბერძნიშვილი მიიჩნევა ჟურნალ „ცისკრის“ ერთ-ერთ პირველ ანალიტიკოსად და შემფასებლად. მისი ლიტერატურულ-კრიტიკული ნააზრევი მნიშვნელოვანი შენამძენია ქართული ლიტერატურის თეორიის, ისტორიისა თუ საკუთრივ სალიტერატურო კრიტიკისათვის. მიუხედავად ამისა, მისი ლიტერატურულ-კრიტიკული საქმიანობა სათანადოდ არ არის შესწავლილი. ნაშრომის მიზანი ქართული სალიტერატურო კრიტიკის ერთ-ერთი მამამთავრის, როგორც ლიტერატურის ისტორიის შემფასებლისა და კრიტიკოსის, მოღვაწეობის უფრო ღრმად შესწავლა და შეფასებაა.

ლიტერატურის თეორია ლიტერატურული პროცესის ზოგად კანონზომიერებებს იკვლევს. იგი განაზოგადებს ლიტერატურის ისტორიის სფეროში მოპოვებული კვლევის შედეგებს. თეორიის ინტერესის სფეროში შემოდის: ტექსტის სტრუქტურის ანალიზი, მისი ჟანრული კუთვნილების დადგენა, ლიტერატურული მიმართულებებისა და მიმდინარეობების განხილვა (ლიტ.მცოდნეობის შესავალი, 2012: გვ. 10-11). ნიკოლოზ ბერძნიშვილის შეხედულებები ლიტერატურის ჟანრების, ლიტერატურული მიმდინარეობების, მხატვრული თხზულების შინაარსისა და ფორმის შესახებ არ არის ღრმად შესწავლილი, რის გამოც ნაშრომში წამოჩეულია მისი ღვაწლი ლიტერატურის თეორიაში.

ლიტერატურული კრიტიკა არის ლიტერატურული მოღვაწეობის - ლიტერატურული ნაწარმოების განმარტებისა და შეფასების- სახეობა. ის აღწერს, ინტერპრეტაციას უკეთებს და აფასებს ნაწარმოების საზრისსა და ეფექტს. ლიტერატურული ნაწარმოების განსჯისას და შეფასებისას კრიტიკული ანალიზის საშუალებებად გვევლინება სიმპათია-ანიპათია, თვითიგივეობა, თვითპროექცია (ლიტ.მცოდნეობის შესავალი, 2012: გვ. 15). ნ. ბერძნიშვილი ქართული კრიტიკის სათავეებთან დგას, ამიტომაც ამ კუთხით მის მიერ გაწეული შრომის გაანალიზება წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

ქართული ლიტერატურისმცოდნეობის საწყისები ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსნში“ იჩენს თავს. ამ მხრივ საყურადღებოა რუსთაველის შეხედულებები პოეტისა და პოეზიის დანიშნულების შესახებ. გვიანდელ ეპოქაში ეს თემა უფრო აქტუალურ გახდა, მაგალითად, მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკი“ ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილებაა აღნიშნული თვალსაზრისით.

სოლომონ დოდაშვილის ხანმოკლე მოღვაწეობის შემდეგ გადამწყვეტი მნიშვნელობა ნიკოლოზ ბერძნიშვილის პუბლიცისტურ-კრიტიკულ მემკვიდრეობას უნდა მიენიჭოს. ილია ჭავჭავაძემდე ქართულ მწერლობას არ გააჩნდა რაიმე კონკრეტული კონცეფცია და ჩვენი რომანტიკოსი პოეტების ლექსები ჯერ კიდევ ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა. არანაირი ბეჭდვითი გამოცემა ქართულ ენაზე არ

არსებობდა, რომელიც ამ პერიოდის ლიტერატურულ პროცესს კალაპოტში მოაქცევდა. ასეთ ვითარებაში მასშტაბური ინიციატივის საკუთარ თავზე აღება საკმაოდ რისკის შემცველი იყო და შესაბამის პასუხისმგებლობას მოითხოვდა. ნიკოლოზ ბერძნიშვილი არ მოერიდა ყოველივე ამას და არსებულ პრესაში, მეტწილად „კავკაზსა“ და „ცისკარში“, კონცეპტუალური იდეის შემცველი ჟურნალისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიების გამოქვეყნება დაიწყო. მას აუბეს მხარი ალექსანდრე ორბელიანმა, პლატონ იოსელიანმა და სხვებმა. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულმა ფილოლოგიურმა აზრმაც საწყისი ნაბიჯების გადადგმა იწყო.

ქართული მწერლობა ფილოლოგიის ახალი დარგის, ლიტერატურისმცოდნეობის წარმოშობას ცდილობდა. მაგრამ, წინააღმდეგობას ამ გზაზე ქმნიდა ის გარემოება, რომ არ არსებობდა ქართული პერიოდული გამოცემა, რაიმე ჟურნალი ან გაზეთი. სტატიაში - „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა (ანუ სიტყვიერებისა)“ - სოლომონ დოდაშვილი იმ საჭირობოროტო საკითხებს ეხება, რომლებიც აღნიშნულ ეტაპზე ქართულ მწერლობას აწუხებდა.

ეს წერილი დაწერილია მათ წინააღმდეგ, ვინც ამბობდა, რომ ქართული ენა „გლახაკ არს თხზულებათა მიერ სალიტერატუროთა, არა განვითარებულ არს...“. ავტორი საუბრობს ქართული ენის განვითარებაზე ძველი დროიდან მოყოლებული, „ქართველთა ძუჭლთაგან ჰქონიათ სურვილი, ხალისი და ნიჭი სწავლათა და ჰელოვნებათა. ჩინებული მთარგმნელი და მწერალნი იყვნენ: მეცხრესა საუკუნესა შინა, ადარნასე მეფის დროს, წმინდა მამა ილარიონ ქართველი, მეათესა საუკუნესა შინა, სუმბათ მეფის ჟამს, წმინდა მამა იოანე; მეთერთმეტესა, მეფის ბაგრატის დროსა, წმინდა მამა ევთიმი, იოანე პატრიკ ყოფილი ჭილოსოფოსი პეტრიწად ზედწოდებული და სტეფანე. საკუთრად მეთერთმეტესა საუკუნესა შინა ქართველნი იდგნენ უმაღლესსა ხარისხსა ზედა ძლიერებისა და განათლებისასა; იგინი განსხვავებულ იყვნენ სიმკნითა, სიბრძნითა, სათნოებითა და პოეზიითა, დროსა ამას საქებელნი მწერალნი იყვნენ, მეფობასა შინა დავით აღმაშენებლისასა: ეფრემ მცირე, თეოფილე, არსენ იყალთოელი და ივანე ტარიჭისძე. ყოველთა ამათ არათუოდენ სთარგმნეს ელინურის ენიდგან ყოველნი

საეკლესიო წიგნი, საღვთისმეტყველონი, საჭილოსოფოსონი და სხუნი, არამედ ეგრეთვე დაწერეს თვისა ენასა ზედა ყოველთა ნაწილთამებრ სიტყვერებისათა თხზულებანი.“

სოლომონ დოდაშვილი წერილში ახსენებს თამარ მეფის ეპოქასაც: „აქვდა მას საუნჯე სწავლათა და სიტყვიერებისა, ესეოდენვე მდიდარი, ვითარცა სხუთა მკარეთა მის დროდსათა. ესრეთ დროსა ამას საკუთრად იქებოდნენ ოთხნი ტკბილკმოვანნი მწერალნი, ორნი პროზაიკნი: მოსე ხონელი და სერგის თმოგველი და ორნი მოლექსენი: რუსთველი და ჩახრუხაძე“ (ხუციშვილი, 1954: გვ. 25).

„ეპოხამან აღდგინებისა ანუ საფუძვლიანისა დამყარებისამან სწავლათა მამულსა შინა ჩუწნსა იწყო ათრუამეტსა საუკუნესა შინა, ესე იგი დროდთაგან ირაკლის ტახტსა ზედა ასვლისა.“ დოდაშვილი ასახელებს ანტონ კათალიკოსის შრომებს: „...შეთხზა ქართული დრამატიკა, დაწერა კატეხიზისი, ჰსთარგმნა ქართულად კურსი ბაუმეისტერის ჭილოსოფიისა და შემდგომ მომავლისა თვისისა საქართველოსა შინა, დააწესა რაოდენნიმე სხოლანი, რომელთა შინა გარდიცემოდნენ: დრამატიკა და რიტორიკა, ისტორია და ლეოღრაფია, არიხმეტიკა, ჭილოსოფია და ღვთისმეტყველება. მან ეგრეთვე თარგმნა სომხურის ენიდამ რიტორიკა მიხითარისა, შეთხზა წყობილსიტყვაობა, რომელიცა გვაცნობებს ჩუწნ ოცდა ათს წმინდანსა, ოცსა ჩინებულსა მეფესა და სამოც და ათსა განსხვავებულსა მწერალსა მამულისა ჩუწნისასა. . . . მისითა შედგენილ არს ისტორია საქართველოს მეფეთა სხუნი ისტორიულნი წიგნი. ისტორიკოსი ვახუშტი, სულხან, ვახტანგ და დიმიტრი ორბელიანოვნი, ყოვლად სამღვდელო გაიოსი, იასე ერისთოვი, დიმიტრი ციციანოვი და სხუანი განსხვავდებოდნენ შუწნიერსიტყუობითა, თხზულებანი მათნი სტიხად და პროზად ღირს არიან გონებაგანმხილველისა ყურად-ღებისანი“ (ხუციშვილი, 1954: გვ. 29).

ზემოთ მოყვანილი წერილი დაიბეჭდა გაზეთში „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, 1832 წლის 1 და 2 ნომრებში.

როგორც ვხედავთ, დოდაშვილი ფაქტიური და თანაც უძველესი მასალის მოხმობით ნათელყოფს ქართული ლიტერატურის ძალასა და ჰასაკსაც. მას, სრულიად

მართებულად, ძველი ქართული და საერთოდ ქართული მწერლობის სიამაყედ მიუჩნევია „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც „მაღალსა ხარისხსა ზედა სრულებისასა“ არის. ს. დოდაშვილი განსაკუთრებით აღნიშნავს ძველი ქართული ფილოსოფიური აზროვნების მდგომარეობას; ჩამოთვლის საეკლესიო მწერლებსა და ფილოსოფოსებს, ხაზს უსვამს იოანე პეტრიწის აზროვნებას. ს. დოდაშვილის დაპატიმრებისა (1832) და გადასახლების (1834) შემდეგ მისმა ნამოწაფარებმა ამ თხზულების თარგმანი შეიტანეს თავისი ხელნაწერი ჟურნალის, „Цветок тифлиской гимназии“ მეხუთე ნომერში, მიხეილ თუმანიშვილის თარგმანით; სათაურით: „Краткое обозрение грузинской литературы“ (ხუციშვილი, 1954: 421).

მას შემდეგ, რაც გიორგი ერისთავის „ცისკარი“ გამოვიდა (1852), ლიტერატურით დაინტერესებულ ავტორთა შეხედულებების საჯაროდ გამოქვეყნება გახდა შესაძლებელი. შესაბამისად, ქართული ლიტერატურისმცოდნეობის ისტორიის სათავეც დაახლოებით ამ პერიოდს უკავშირდება. აღნიშნულ ჟურნალში იბეჭდებოდა როგორც მხატვრული ნაწარმოებები, ასევე სტატიები ამა თუ იმ ნაწარმოების შესახებ. აქ აუცილებლად უნდა ვახსენოთ ნიკოლოზ ბერძნიშვილი, როგორც ერთ-ერთი პირველი კრტიკოსი ქართული ლიტერატურისა.

ცნობილია, რომ ქართული მწერლობა არ იყო იზოლირებული, მას იმთავითვე ჰქონდა კავშირი, როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ კულტურებთან. ამ დებულების დასამტკიცებლად „ვეფხისტყაოსანიც“ საკმარისია. შოთა რუსთაველი პოემაში ახსენებს პლატონს, დიონისე არეოპაგელს, ეზრას და სხვებს.

„ამ საქმესა მემოწმების დიონოსი ბრძენი, ეზროს:

საბრალოა ოდეს ვარდი დაეთრთვილოს და-ცა-ეზროს“

(„ვტ“ თბ.2013. გვ.42 სტ.179)

ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს განაცხადებს:

ღმერთი კარგსა მოავლინებს ბოროტსა არ დაბადებს;

(„ვტ“ თბ.2013. გვ.260 სტ.1493)

მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწავლა-თქმულსა:

„სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა მერმე სულსა“

(„ვტ“ თბ.2013. გვ.147 სტ.793)

მას შემდეგ, რაც ქართველი სტუდენტები რუსეთსა და ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში იღებდნენ განათლებას, ქართული სიტყვიერების ისტორიაში უფრო ხშირად ჩნდება ევროპელი მწერლების სახელები. ჩვენი ავტორები ცდილობენ პარალელები გაავლონ მშობლიურ და ევროპულ ლიტერატურულ ტექსტებს შორის, გარკვეული შენიშვნები, მოსაზრებები, რეკომენდაციები შესთავაზონ ქართველ მკითხველს, ასევე შემოქმედებითი ნიჭით გამორჩეულ მოღვაწეებს. ამ მხრივაც პირველი სიტყვა ნიკოლოზ ბერძნიშვილს ეკუთვნის. იგი ცდილობს ქართული სიტყვიერება მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში განიხილოს.

ჩვენი სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, თვალი მივადევნოთ ნ. ბერძნიშვილის სტატიებს, რომლებიც ქართული მწერლობის საკითხების ანალიზს ისახავენ მიზნად. კერძოდ, რამდენად იცნობს იგი ამ პერიოდის სიტყვაკაზმულ ქართულ და უცხოურ მწერლობას; შევაჯეროთ გაზეთ „კავკასია“ და ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე 50-იან წლებში ნ. ბერძნიშვილის მიერ გამოქვეყნებული ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები და გამოვიტანოთ გარკვეული დასკვნები. სამაგისტრო ნაშრომი მიზნად ისახავს ნიკოლოზ ბერძენოვის ლიტერატურული ნააზრევის ღრმა და საფუძვლიან შესწავლას.

დღესდღეობით უფრო და უფრო აქტუალური ხდება ჩვენი ეროვნული მწერლობის სისტემური შესწავლა. ამას ემატება ის გარემოება, რომ იზრდება საქართველოს ევროპასთან ინტერგარციის პერსპექტივა, რაც თავისთავად ცხადყოფს ქართული კულტურისა და მწერლობის თვითმყოფადობის განსაზღვრის აუცილებლობას. სწორედ ამიტომ, ნაკლებად დაფასებული ან/და შესწავლილი საზოგადო მოღვაწეების ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევა უფრო და უფრო იწევს წინა პლანზე. აღნიშნული

ხაზს უსვამს საკვლევი თემის აქტუალობას, თუმცა აქტუალობის განმსაზღვრელი სხვა არერთი ფაქტორი არსებობს, რომელთა შესახებ ქვემოთ კვლავ გვექნება საუბარი.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა პირველადი და მეორეული წყაროების თვისებრივი ანალიზი. კონტენტ-ანალიზის მეშვეობით გამოიკვეთა, რომ ბერძნიშვილის სტატიები უხვად შეიცავს მასალებს, რომლებშიც აირეკლება დაინტერესება ევროპელი მწერლობით, რაც მკაფიოდ ცხადყოფს მის ესთეტიკურ ორიენტირებს და რაც კიდევ უფრო საყურადღებოს ხდის ქვემდებარე ნაშრომს.

თავი I

ქართული პრესის ისტორიისათვის

1.1 „საქართველოს გაზეთი“

1819 წლიდან გამოდის „საქართველოს გაზეთი“, რომელიც იყო ყოველკვირეული ბეჭდვითი ორგანო, ის სულ ოთხი გვერდისაგან შედგებოდა.

„საქართველოს გაზეთი“ იყო პირველი პერიოდული გამოცემა მთელს კავკასიაში. მისი გამომცემელი იყო კავკასიის ცალკე კორპუსის შტაბი. გაზეთი იწერებოდა რუსულად და შემდეგ ითარგმნებოდა ქართულად. ინიციატორთა აზრით, ამ ორგანოს დანიშნულებას საქართველოში მეფის რუსეთის პოლიტიკის საქმეში დახმარება წარმოადგენდა. (რადიანი, 1954: გვ. 12).

„საქართველოს გაზეთში“ ძირითადად ორი მთავარი ნაწილი იყო; ოფიციალური და არაოფიციალური. ოფიციალურ ნაწილში პირველი ადგილი პეტერბურგიდან მოსულ „უმალეს ბრძანებებს“ ეჭირა. ეს ბრძანებები სამხედრო და სამოქალაქო უწყების პირთა ორდენებით დაჯილდოებას შეეხებოდა; აქვეა ბრძანებანი სამხედრო პირთა სამსახურში დანიშვნის, გადაყვანა-გადმოყვანის, გადაყენების, გამორიცხვის შესახებ. გაზეთი მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა ადგილობრივი ხელისუფლებისა და სასამართლოს ორგანოთა განკარგულებებსა და განცხადებებს, რომლებიც „ამ ქვეყნის დამყარებას და კეთილმდგომარეობას“ შეეხებოდა; გაზეთის არაოფიციალური ნაწილის განყოფილებები იყო: „უცხო ქვეყნის ამბავი“, „შერთული ამბავი“, „სხვადასხვა ამბავი“ და „მოთხრობა“. ამ გაზეთში დაიბეჭდა შემდეგი თარგმნილი თუ გადმოკეთებული მხატვრული ნაწარმოებები: „მოთხრობა ქალის მარიამისა“, „იშვიათი ცოლი“, „მოხუცებული“ (ლებრენისა). „საქართველოს გაზეთში“ ვერ ვხედავთ ვერცერთ ორიგინალურ ნაწარმოებს, მიუხედავად იმისა, რომ რედაქცია დაბეჯითებით თხოვდა „მოყვარეთ სიტყვიერებისა სწავლისა, რათა მათ მისცენ ქართულსა ენასა ზედა სხადასხვანი ცნობანი, მოთხრობანი ყურადღებისა ღირსთა საგანთათვის, რომელნიც ყოველთვის კმაყოფილებით მოხსენებული იქნებიან ამას გაზეთსა შინა“; „საქართველოს

გაზეთში“ შემოღებულია „ბიბლიოგრაფიული გამოცხადებანიც“. ამ განყოფილებაში თავსდება ცნობები გასაყიდად გამოსული წიგნების შესახებ (რადიანი, 1954: გვ. 13).

1820 წლიდან „საქართველოს გაზეთს“ ეცვლება სათაური და მას „ქართული გაზეთი“ ეწოდება. ამ სახელწოდებით იგი გამოდიოდა 1822 წლამდე. როგორც „საქართველოს გაზეთი“, ისე „ქართული გაზეთი“ თავისი ხასიათით შედარებით ვიწრო ამოცანებს ემსახურებოდა. ისინი თითქმის არ აშუქებდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს. ამ გაზეთში ვერ ვნახავთ ვერცერთ სტატიას, რომელიც იმდროინდელ საქართველოს ეკონომიკურ, სამეურნეო და კულტურულ ვითარებას ახასიათებდეს. მიუხედავად ამისა, „საქართველოს გაზეთს“ და „ქართულ გაზეთს“ მაინც თავისი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა და ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაკვეთს წარმოადგენს (რადიანი, 1954: გვ. 13).

1.2 „ტფილისის უწყებანი“

1828 წლიდან გამოდის „ტფილისის უწყებანი“. იგი ამავე სახელწოდების რუსული გაზეთის პარალელურად იბეჭდებოდა და თითქმის მის თარგმანს წარმოადგენდა. ეს გაზეთი ძირითადად იმავე ხასიათისა იყო, როგორც „საქართველოს გაზეთი“ და „ქართული გაზეთი“. ამასთანავე, ამ გაზეთში ვხვდებით ახალ განყოფილებებსაც - ისტორიისა და ბიბლიოგრაფიისა (რადიანი, 1954: გვ. 13).

1832 წლის იანვრიდან „ტფილისის უწყებანის“ დამატებად გამოდის „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“.

1.3 „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“

„სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ იყო პირველი ბეჭდვითი ორგანო, რომელიც იბრძოდა ქართველ ხალხში მოწინავე კულტურისა და განათლების გავრცელებისათვის. ამ ჟურნალს, მისი ხელმძღვანელის - სოლომონ დოდაშვილის

განცხადების თანახმად, უნდა გაემდიდრებია ქართული ენა, ყოფილიყო სასარგებლო საქმე „მამულის დიდებისათვის და გონების განათლებისათვის“. მის ფურცლებზე გაისმის გაბედული ხმა საქართველოს მდიდარი, მრავალსაუკუნოვანი წარსულისა და კულტურულ მონაპოვართა დასაცავად, ქართული ლიტერატურის სიდიადის ნათელსაყოფად. ცენზურის, ხელის მომწერთა სიმცირისა და მატერიალური ხელმოკლეობის გამო გაზეთის გამოცემა მალევე შეწყდა. სულ გამოვიდა ხუთი ნომერი. მცირე ხნის არსებობის მიუხედავად, ეს ჟურნალი მე-19 საუკუნის 30-იანი წლების საზოგადოებრივ-იდეური განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა. იგი ხასიათდებოდა სიახლით, სიცხოველით, მრავალფეროვნებით, გემოვნებით, კარგი ენით, განსაკუთრებული ინტერესით საქვეყნო საქმისადმი. იგი იყო პირველი ჟურნალი, რომელიც ჩვენში მოწინავე პერიოდულ გამოცემათა მიხედვით შეიქმნა (ახ. ქართ. ლიტ-რა 1959 გვ. 14).

1.4 „კავკასიის მხარეთა უწყებანი“

1845 წლის 4 იანვარს გამოვიდა პირველი ნომერი გაზეთისა „კავკასიისა მხარეთა უწყებანი“. გაზეთი გამოდიოდა ყოველკვირეულად და 50 ცალი ეზემპლარი იბეჭდებოდა. მისი ოფიციალური რედაქტორი იყო პლატონ იოსელიანი, ხოლო ფაქტიური რედაქტორი - ზაქარია ფალავანდიშვილი (ფალავანდოვი). პირველი ნომერი მცირე ფორმის რვა გვერდისგან შედგებოდა. „კავკასიისა მხარეთა უწყებანი“ შემდეგ განყოფილებებს შეიცავდა: „უქაზი მმართველის სენატისა“, „განკარგულებანი კავკასიისა მხარეთა უპირველეს მთავრობისანი“, „მამულების შეკვრისათვის“, „მამულის ახსნა“, „მამულების გაყიდვა“, „ტორგი და ფოდრატები“. გაზეთის ენა გაუმართავი, რუსიციზმებით აჭრელებული იყო. (ახ. ქართ. ლიტ-რა, 1954: გვ. 15).

1.5 „კავკაზი“

„კავკაზი“ (კავკასია) ყოველკვირეული გაზეთი იყო 1846-1851 წლებში, კვირაში სამჯერ გამოდიოდა 1868-1876 წლებში, ხოლო 1877-1918 წლებში გახდა ყოველდღიური გამოცემა.

ეს არის კავკასიაში გამოცემული ერთ-ერთი უძველესი რუსული გაზეთი, რომელიც გამოიცემოდა 1846 წლიდან 1918 წლის თებერვლის შუა რიცხვებამდე. იგი დაარსდა კერძო გამოცემის უფლებით რუსეთის მეფისნაცვლის, თავად ვორონცოვის პერიოდში, როგორც კავკასიაში რუსეთის ცარიზმის ოფიციალური პოლიტიკის გამტარებელი გამოცემა. „კავკაზის“ უახლოესი გეგმები ასე იყო „იყოს ჭეშმარიტების გამხმომავანებელი, გააცნოს თანამემამულეებს საინტერესო მხარე, რომელიც ჯერ კიდევ თითქმის ჩვილის მდგომარეობაშია და ნაკლებად ცნობილია.“

1856 წლიდან კავკაზი ხდება მთავრობის ოფიციალური გამოცემა, რომელიც შეიცავდა ოფიციალურ და არაოფიციალურ ნაწილებს, თუმცა 1899 წლამდე გაზეთი არენდით კერძო რედაქტორ-გამომცემლებს ეკუთვნოდათ მეფისნაცვლების შეხედულებების მიხედვით და მის გამოცემაზე მხოლოდ სამთავრობო სუბსიდია გამოიყოფოდა. 1899 წლიდან „კავკაზი“ გადავიდა კანცელარიის მთავარმმართველის სრული გამგებლობის ქვეშ, გახდა სახელმწიფო გამოცემა და შაბათობით გამოდიოდა. 1846 წელს გამოვიდა 52 ნომერი, 1847 წელს - 51 ნომერი, 1848-1851 წლებში - 52-52 ნომერი. 1852 წლიდან „კავკაზი“ გამოდის კვირაში ორჯერ, 1868 წლიდან - სამჯერ, ხოლო 1877 წლიდან ხდება ყოველდღიური გაზეთი. იგი გამოდიოდა ყოველდღე დღესასწაულების მომდევნო დღეების გარდა. „კავკაზის“ პირველი რედაქტორ-გამომცემელი იყო ო.კონსტანტინოვი, ბოლო კი - ლებედევი.

როგორც აღინიშნა, გაზეთის მისია ორმხრივი იყო: ადგილობრივ მოსახლეობამდე მოეტანა ხელისუფლების გადაწყვეტილებები და ასევე გაეცნო საქართველო იმპერიის მოსახლეობისათვის. გამომდინარე აქედან, სჭირო დოზით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი პუბლიკაციები ადგილობრივი ხალხის ადათ-წესებისა თუ კულტურული განვითარების შესახებ; ამიტომ გაზეთში ლიტერატურულ-კრიტიკული

შინაარსის მასალებიც იბეჭდებოდა. ამ მხრივ აღსანიშნავია ნიკოლოზ ბერძნიშვილის, დავით ჩუბინაშვილის, მიხეილ თუმანიშვილისა და სხვათა სტატიები.

მართალია, ჩვენი სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი სუბიექტი ნიკოლოზ ბერძნიშვილია, მაგრამ ყურადღების მიღმა ვერ ვტოვებთ ცნობილი ქართველოლოგის, დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის დავით ჩუბინაშვილის სტატიას, რომელიც პირდაპირ შეხებაშია ჩვენს საკვლევ თემასთან და მით უმეტეს სწორედ იმ პერიოდში იბეჭდება ეს წერილი „კავკაზში“, როცა ნიკოლოზ ბერძნიშვილი იწყებს ლიტერატურულ-კრიტიკულ მოღვაწეობას. ჩუბინაშვილისა და მიხეილ თუმანიშვილის აქ განხილული წერილები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის იმ ფილოლოგიურ ფონზე, რომელიც მე-19 საუკუნის 50-იანი წლების საქართველოში არსებობდა.

ამ სტატიაში დავით ჩუბინაშვილი ევლახოვის მიერ ნათარგმნ „ვეფხისტყაოსანს“ იწუნებს, რომელიც წაუკითხავს ამავე გაზეთის მე-15 ნომერში. დავით ჩუბინაშვილი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი დაიწერა XII საუკუნეში თამარის მეფობის დროს და ის მას მიეძღვნა.

„ვეფხისტყაოსანი“ რომ კარგად გადაითარგმნოს და მიღწეული იქნეს ნაშრომის კლასიკური მიზანი, საჭიროა, თარგმანში დედნის ორიგინალური ღირსებები შენარჩუნდეს: სხვაგვარად თარგმნა ნიშნავს მხოლოდ პოემის შინაარსის გარდათქმას. ორიგინალის ძალის შთაბეჭდილებას შეადგენს, რასაკვირველია, მისი დრამის შინაარსი, მაგრამ დრამის შინაარსი ჩასმული აზრის საფარველში, თანამედროვეობის გამომთქმელი, ბგერისა და ფრაზის თამაშის ჰარმონია შესაბამისი ენისა და გემოვნების და, ბოლოს, სიტბო და უბრალოება, რომელშიც ისინი გამოთქმულია მოქმედი პირისა და გადმოცემულია ავტორის მიერ. წაართვით მას ყველა ეს ღირსება და დარჩება გვამი (დავით ჩუბინაშვილი).

უფ. ევლახოვმა გადმოგვცა მხოლოდ პოემის შინაარსი, ისიც არა ზუსტად, დამატებით, გამოკლებითა და ორიგინალთან შედარებით სხვადასხვა ცოდვით.

აღნიშნულ წერილში დავით ჩუბინაშვილი ახსენებს, აგრეთვე, ბარტდინსკის XIX საუკუნის რუს პოეტს, რომელსაც 1841-1845 წლებში თეთრი ლექსით უთარგმნია „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი სტროფი (ქართ. საბჭ. ენც. ტ. 2 გვ. 217)

თუ უფ. ევლახოვს არ ჰქონდა თავისი საკუთარი ძალის იმედი, რატომ არ იხელმძღვანელა სხვა მთარგმნელის შრომით, რომელმაც მასზე ადრე შეაღო ამიერკავკასიის ილიადის შვიდსაუკუნოვანი სიძველის კარი და გამოედევნა გენიოსობის აჩრდილებს ახალ, საოცარ ქვეყანაში, რომელიც შექმნილია „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მიერ ზღაპრებისა და ისტორიის მიჯნაზე. მე ვლაპარაკობ უფ. ბარტდინსკის მიერ ამავე პოემის თარგმნაზე, რომლის დიდი ნაწილი, თითქმის 600 ტაეპი, მოთავსებული იყო „ილუსტრაციის“ შარშანდელ ფურცლებზე, №16 და №17-ში. ეს თარგმანი კეთილ სინდისიერიცაა და ახალიც, ავტორს გადმოგვცემს აზრიდან აზრამდე, კუპლეტიდან კუპლეტამდე, სტრიქონიდან სტრიქონამდე. ამას გარდა თხრობის სითბოსი და ღირსების დაცვით მას კიდევ მეტი სითბო შეაქვს დედანში (ხუციშვილი, 1954: გვ. 31).

განხილული სტატია იმითაა ჩვენთვის საინტერესო, რომ გვამცნობს რუსული ლიტერატურის დაინტერესებას „ვეფხისტყაოსნით და ამავე დროს ჩუბინაშვილის კრიტიკული ნააზრევის მეშვეობით გარკვეული ზოგადი წარმოდგენა გვექმნება ფილოლოგიური აზრის განვითარების დონეზე

როგორც ვხედავთ, დავით ჩუბინაშვილი ევლახოვს უწუნებს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანს და მისი ნამუშევრის საპირისპიროდ მოჰყავს ბარტდინსკის შემოქმედების მაგალითი, რითაც ხაზს უსვამს ამ უკანასკნელის ნიჭიერებას.

„მიხაკო და ნინო“, ქართული იდილია მ. ლივენცოვისა“, წერილი მიხეილ თუმანიშვილისა, გამოქვეყნებულია ხელმოუწერლად „Кавказ“-ში 1852 წელს (№ 41) (ამ ინფორმაციას გვაწვდის ჭუმბურიძე, ქართ. კრიტიკის ისტორია, ტ. 1-ში). მიხეილ ალექსის ძე ლივენცოვის თხზულება დაიბეჭდა „Библиотека для чтения“-ში. ლივენცოვი - სამხედრო პირი, საქართველოში მსახურობდა, მას რამდენიმე თხზულება აქვს

დაბეჭდილი Кавказ-ში ქართველთა ცხოვრებიდან (ქართ. ლიტ-რის კრიტიკის ისტ. ტI (ქრ) გვ.422. 1955).

მიხეილ თუმანიშვილი იხიბლება ქართული ბუნების აღწერით, მიუხედავად იმისა, რომ თხზულება დაიწერა შორეულ ჩრდილოეთში, იგი მაინც ქართულია: „...ჩვენებური ზეცით არის შთაგონებული, მასში ჩვენი ბუნება არის აღბეჭდილი“ (ხუციშვილი, 1954: გვ. 48).

რაც შეეხება სიუჟეტს, მოკლედ ასე შეიძლება გადმოიცეს: თბილისთან ახლოს, პატარა ქართულ სოფელში ცხოვრობს ქართველი გლეხი, ფულების მთვლელი, *(შენიშვნა: ტერმინი-ფულების მთვლელი, გლეხის მისამართით გადატანითი მნიშვნელობითაა გამოყენებული, გლეხს სად ჰქონდა იმდენი ფული, რომ მანეთების, აბაზების და შაურების დათვლაში გაეყვანა დრო?!)* რომელასაც ჰყავს ულამაზესი ასული ნინო. ნინო შეუყვარდა მიხაკოს, თუმცა ნინოს მამა მათი სასიყვარულო ურთიერთობის წინააღმდეგია, ამიტომაც ერთ დღეს წყვილი გაიპარება. იდილიურმა ასულმა არ დაივიწყა თან წაეღო მორთულობაც: თეთრეული, ფული, მთელი საპალნე საჭმელი და რამდენიმე თვე დაჰყვეს ტყეში. მათ გულცივ ნათესავებს მთელი ამ დროის განმავლობაში არც გახსენებიათ ისინი. „ბოლოს, საქართველოში გამოუცდელ სოფელს ქალს, თანაც ლაზათიანს, არაფრად არ უღირს, მარტო, უთანამგზავროდ შეერიოს ხმაურიან, უცნობ ქალაქს, თანაც იმედი ჰქონდეს სინდისიერი მიღებისა, დაუყვედრებელი ლუკმა პურისა. მაგრამ თუ თქვენ საქართველოს ახლოს იცნობთ, თქვენი ოცნებანი ნამდვილად დაიმსხრევა, არაფერს ამას არ დაუჯერებთ ყველა ამაში დაინახავთ დროის შეუფერებელ, სინამდვილეს დაცილებულ ბოდვას, მაშასადამე დაცილებულს ჭეშმარიტი პოეზიისგანაც. ჩვენს დროს ხომ პოეზია იქ არის, სადაც არის ჭეშმარიტება: ჩვენს დროს მეოცნებე პოეზიამ ადგილი დაუთმო უბრალოს, მაგრამ თავის უბრალოებით მაღალსა და არსებულით შთაგონებულს. ჩვენ ახლა გვიტაცებს დიკენსი (*ინგლისელი მწერალი, მისი ოჯახი დღენიდაგ განიცდიდა ფინანსურ სიდუხჭირეს, რის გამოც იძულებული იყო მცირეწლოვანი დასაქმებულიყო, რაც მოგვიანებით აღწერა თავის რომანებში*), გოგოლი (*უკრაინაში დაბადებული რუსი მწერალი, რუსული რეალიზმის მამა, მან გააკრიტიკა რუსული ცხოვრების სტილი, მის შდევრია „მკვდარი სულები“*) რწმენა დავკარგეთ. მაგრამ, მოითმინეთ, ასე

სწრფად ნუ განსჯით ჩვენს იდილისტს: ნატურალური სკოლა უცხო არ არის მისთვის, ორი შეყვარებულის ბედი, მათი სიხარულითა და უბედურებით - მხოლოდ საბაბია, მას სხვა მიზანი აქვს - გააცნოს მკითხველი ადგილობრივ ყოფას, ადგილობრივ ცხოვრებას, მის შესაძლო გამოვლინებებს“ (ხუციშვილი, 1954: გვ. 52).

როგორც ვხედავთ, თხზულების ავტორს მიზნად დაუსახავს მკითხველს გააცნოს კავკასიური სინამდვილის დეტალები მხატვრული ნაწარმოების მეშვეობით, თუმცა ეს მცირე ამონარიდიც ცხადყოფს, რომ ავტორს თხრობა არ მიჰყავს ობიექტური ხაზით; მას არ უყვარს თავისი პერსონაჟები; ე. წ. „იდილის“ მიზანი იმთავითვე აშკარაა - აჩვენოს ქართველი ახალგაზრდების მინიმუმ „არათანამედროვეობა“.

ამ თხზულების საკმაოდ ვრცელ ანალიზს გვამლევს მიხეილ თუმანიშვილი, რომელიც წერილის ბოლოს სვამს კითხვას თუ რა აკლიათ „აღმოსავლური რომანების“, პირველი რუსული თბილისური რომანის - „ქართული იდილის“ უფალ მთხზველებს; *(საყურადღებოა, რომ აქ „იდილია“ გაგებულობა, როგორც მხატვრული ლიტერატურის ჟანრი)* მათ ძლიერ ბევრი აქვთ გამართული პროზა, როგორადაც ძლიერ ბევრია გამართული ლექსი ამ ქვეყანაზე, მაგრამ არ არის მთავარი, რაც უნდა ძირითადი ელემენტი იყოს ყველა თხზულებისა, არ არის ახლო, ნამდვილი ცოდნა ქვეყნისა, მათ არ სცოდნიათ, ან არ მოუსურვებიათ მისი გაცნობა, მისი ცხოვრების სიღრმეში ჩაწვდომა, - მათ ზერეჟერედ მოუსმენიათ, რომ აქ სადღაც არის ზურნა, ფლავი, ვიღაცა დამშვენებულია ბეშმეტით, ვიღაცას უთქვამს „ფხე“ და, წარმოიდგენენ, რომ ყველაფერი იციან, ყველაფერი გაუგიათ, მიჰყოფენ ხელს რომანების, იდილიების შექმნას (ხუციშვილი, 1954: გვ. 54).

ახლა მთელი რუსეთი ინტერესით შემოსცქერის კავკასიას; მნიშვნელოვანია ეს ქვეყანა, ახლა ამ ქვეყნით სერიოზული მეცნიერული ლიტერატურა არის დაინტერესებული, ამისკენ არის მიპყრობილი მისი ღონისძიება. ასეთი ნაწარმოებები კი, როგორიცაა „აღმოსავლური რომანი“, როგორიცაა „ქართული იდილია“, არა თუ შეავსებენ მეცნიერების ღონისძიებას, არც კი გაინაწილებენ მის ღვაწლს ამ ქვეყნის შესწავლის საქმეში. პირიქით, ხელს შეუწყობენ დაბნეულობას და მის შესახებ მცდარ

ცნებათა გავრცელებას. გაზეთ „კავკაზის“ ვალია, რომელიც თითქოს აქაურობის სადარაჯოზე დგას, დაიფაროს მკითხველები ასეთი შეცდომებისაგან; კავკასია „კავკაზმა“ უნდა დაიცვას!

მიხეილ თუმანიშვილის მკაფიო და გაბედული პოზიცია, ყურადღების ღირსია; როგორც ვხედავთ იგი არ ეპუება მკაცრ საიმპერატორო ცენზურას და პირდაპირ ამხელს იმ არასახარბიელო დამოკიდებულებებს, რომლებიც დასახელებულ ნაწარმოებთა სიუჟეტებშია გაბნეული. მ. თუმანიშვილის აღნიშნული სტატიიდან კარგად ჩანს, რომ ლიტერატურა წარმოადგენს გარკვეულ იდეოლოგიურ საშუალებას, რომლის მეშვეობით ვეცნობით ამა თუ იმ ხალხის ყოფა-ცხოვრებას, კულტურას, ადათ-წესებს და ა.შ. კრიტიკოსი ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, რომ აღნიშნულ პერიოდში კავკასია და საკუთრივ საქართველო რუსეთისა და არამარტო რუსეთის მსოფლიოს ყურადღების ცენტრში დგას.

როგორც ვხედავთ, XIX საუკუნის შუა წლებში ერთადერთი პერიოდული გამოცემა, სადაც მწერლობის საკითხების შესახებ პუბლიკაციების განთავსება შეიძლებოდა, გაზეთი „კავკაზი“ იყო. იმისათვის, რომ ამ პერიოდის ქართული ლიტერატურულ-კრიტიკული აზრის განვითარებაზე წარმოდგენა შეგვექმნას, აუცილებელია, ყურადღებით გავეცნოთ „კავკაზის“ ფურცლებზე დაბეჭდილ მასალებს. მართალია, გაზეთი რუსულ ენაზე გამოდიოდა, მაგრამ ქართული სალიტერატურო ცხოვრების ამსახველი გამოცემა ქართულ ენაზე არ არსებობდა, ამიტომ ამ გაზეთის ისტორიული მნიშვნელობა შესაბამისად უნდა განისაზღვროს.

სწორედ ამ გაზეთის თანამშრომელი იყო ნიკოლოზ ბერძნიშვილი და მისი სტატიები, რომლებიც აქ იბეჭდებოდა თავიანთი თემატური მრავლმხრივობით, ლიტერატურის ისტორიისა და კრიტიკისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა.

თავი II

ჟურნალი „ცისკარი“ და მისი თანამშრომლები

1852 წელს თავად ვორონცოვის წყალობით ყოველთვიური ლიტერატურული ორგანო „ცისკარი“ თავად გიორგი ერისთავის რედაქტორობით კვლავ აღორძინდა, მაგრამ 1855 წელს, თავად ვორონცოვის გამგზავრების შემდეგ, მან კვლავ შეწყვიტა არსებობა. 1857 წელს, საზოგადოების მოთხოვნით, „ცისკრის“ გამოცემა ქართული ლიტერატურის ბერკეტის, ივანე ივანეს ძე კერესელიძის რედაქტორობით ახლდება (ხუციშვილი, 1954: გვ. 373).

ჟურნალი „ცისკარი“ გამოსცემდა რაფიელ ერისთავის, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძისა და კნენა ბარბარე ჯორჯაძის პოეტურ თხზულებებს, ბაქარ ქართლელისა და დიმიტრი ყიფიანის პროზაულ თარგმანებს, დიმიტრი ბაქრაძის რამდენიმე ორიგინალურ ისტორიულ სტატიასა და ორ ბელეტრისტულ თხზულებას, ანტონოვისა და ერისთავის კომედიებს და ა.შ. (ხუციშვილი 1954: გვ. 373).

„ცისკრის“ მწერალთა ძირითადი ბირთვი პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეებისაგან შედგებოდა. ამ ჯგუფში შედიოდნენ: ივანე კერესელიძე, დანიელ ჭონქაძე, რაფიელ ერისთავი, ლავრენტი არდაზიანი, დიმიტრი ბაქრაძე, ნიკო ბერძნიშვილი, ალექსანდრე სავანელი, გიორგი ქართველი და სხვ. (მახარაძე, 1965: გვ. 13).

ლიტერატურული ჟურნალის დაარსებაზე ივ. კერესელიძე გიმნაზიაში სწავლის დროსვე ოცნებობდა, ხოლო 1853 წლიდან სამზადისსაც შეუდგა. 1856 წელს „ცისკრის“ აღდგენის ნება მიიღო და 1857 წლიდან გამოცემაც დაიწყო. თვრამეტი წლის მანძილზე, 1875 წლამდე, იგი უცვლელად ხელმძღვანელობდა ამ ჟურნალს (აბზიანიძე, 1969: გვ. 352).

ივ. კერესელიძე დიდი ყურადღებით ეპყრობოდა მდაბიო მკითხველის მოთხოვნებს. ჟურნალს მეტი ტირაჟით ბეჭდავდა, ვიდრე ხელისმომწერთაგან ჰქონდა

დაკვეთილი და ზედმეტ ეგზემპლარებს უფასოდ ურიგებდა ხალხს. ასევე უფასოდ გზავნიდა ჟურნალს შორეულ, მთიან და თურქთაგან დაპყრობილ მესხეთ-აჭარაში. ის ნომრები, რომლებშიც დ. ჭონქაძის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა და სხვათა ნაწერები იყო გამოქვეყნებული, ორმაგი და სამმაგი ტირაჟით გამოდიოდა (აბზიანიძე, 1969: გვ. 353).

ივ. კერესელიძე სისტემატურად აქვეყნებდა როგორც ორიგინალურ, ისე თარგმნილ და გადმოკეთებულ პატარა მოთხრობებსა და ამბებს, მაგრამ მის პროოზაულ მემკვიდრეობაში ყველაზე საყურადღებოა „მგზავრის წერილები“, რომლებიც დროგამოშვებით, 1857 წლიდან 1871 წლამდე იბეჭდებოდა „ცისკარში“ (აბზიანიძე, 1969: გვ. 361).

ივანე კერესელიძის „ცისკარმა“ თითქმის თვრამეტი წელიწადი იარსება. XIX საუკუნის სამოციან წლებში მის გარშემო შემოკრებილი იყო ქართული მწერლობის მთელი სასიცოცხლო ძალები. 1857 წლიდან 1863 წლამდე, როდესაც ქართულ ენაზე სხვა ჟურნალი და გაზეთი არ გამოდიოდა, „ცისკარი“ ერთადერთი ლიტერატურული და საზოგადოებრივი ორგანო იყო, რაც მის მნიშვნელობას უფრო მეტად უსვამს ხაზს (მახარაძე, 1965: გვ. 9).

„ცისკარში“ მზადდება ნიადაგი „საქართველოს მოამბისა“ და თერგდალეულთა მოღვაწეობისათვის. ამავე ჟურნალიდან გაიცნო საზოგადოებამ სამოციანელთა მედროშე - ილია ჭავჭავაძე.

ივანე კერესელიძის „ცისკრის“ საქმიანობაში ორი ძირითადი პერიოდი უნდა განვასხვავოთ: პირველი - „საქართველოს მოამბის“ დაარსებამდე და მეორე - „საქართველოს მოამბის“ დაარსების შემდგომი წლები. ილია ჭავჭავაძის ჟურნალის დაარსებამდე „ცისკარი“ ერთადერთი საზოგადოებრივი ორგანოა. მის თანამშრომლად იგულისხმება ყველა ქართველი ინტელიგენტი, რომელიც ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების რომელიმე დარგში მოღვაწეობს. ამ ნაირფერობის წყალობით ისიც იგრძნობა, რომ ჟურნალს იდეური დახვეწილობა და პრინციპულობა აკლია. რედაქცია იძულებულია ზოგჯერ ჟურნალის ფურცლებზე ადგილი დაუთმოს იდეურად

ერთმანეთის საწინააღმდეგო თხზულებებს; ზოგჯერ ისეთსაც, რომლის დაბეჭდვაც მას სრულიად არა სწადია (მახარაძე, 1965: გვ. 9).

„ცისკრის“ მწერალთა მეორე ჯგუფში შედიან ქართული პატრიოტული რომანტიზმის წარმომადგენლები: ალექსანდრე ორბელიანი, გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, დავით მაჩაბელი, ვახტანგ ორბელიანი, გრიგოლ რჩეულიშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, მამია გურიელი და სხვა. ეს მწერლები აგრძელებენ XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული რომანტიზმისათვის დამახასიათებელ მოტივებს. ისინი ჯერ კიდევ ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქის ატმოსფეროთი სუნთქავენ (მახარაძე, 1965: გვ. 13).

„ცისკარში“ გაერთიანებულ მწერალთა მესამე ჯგუფი რეაქციონერი „მამებისაგან“ შედგება. ეს ჯგუფი ლიტერატურაში ისტორიულად განვლილი საფეხურის მიმდევრად, ხოლო ენაში უკიდურესი არქაიზმის დამცველად გამოდის. ლიტერატორთა ამ ჯგუფში შედიან: სარდიონ მესხიშვილი, რევაზ ერისთავი, ირაკლი ლორთქიფანიძე, ალექსანდრე სულხანიშვილი, ბარბარე ჯორჯაძე, გიორგი ბარათაშვილი, ექვთიმე წერეთელი, გენერალი გიორგი ერისთავი, თომა მაჭავარიანი და სხვა (მახარაძე, 1965: გვ. 14).

ჟურნალის მუდმივი თანამშრომლები არიან ცნობილი ქართველი რომანტიკოსები: გრიგოლ ორბელიანი, მიხეილ თუმანიშვილი, ვახტანგ ორბელიანი, დავით მაჩაბელი, გრიგოლ რჩეულიშვილი, მამია გურიელი და სხვა. ამავე პერიოდში „ცისკრის“ ფურცლებზე იბეჭდება თეიმურაზ პირველის, ვახტანგ მეექვსის, დავით გურამიშვილის, ბესიკის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, სოლომონ რაზმაძისა და სხვა მწერალთა პოეტური მემკვიდრეობის ნიმუშები (მახარაძე, 1965: გვ. 15).

ივანე კერესელიძის „ცისკარმა“ დიდი სამსახური გაუწია ქართველ სამოციანელთა თაობას. ამ ჟურნალის საშუალებით გაიცნო ფართო საზოგადოებამ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე, ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე, პეტრე უმიკაშვილი და სხვ. (მახარაძე, 1965: გვ. 15).

1875 წელს, 18 წლის არსებობის შემდეგ „ცისკარი“ დაიხურა და რედაქტორ-გამომცემელს აურაცხელი ვალი დაუტოვა: ამ ვალებში მთელი ქონება გაუყიდეს და მწერალი ულუკმაპუროდ დარჩა (აბზიანიძე, 1969: 362 ტ.III).

თავი III

ნიკოლოზ ბერძნიშვილი - ჟურნალ „ცისკრის“ პირველი

შემფასებელი

ქართველი ისტორიკოსი, ეთნოგრაფი და კრიტიკოსი, ნიკოლოზ გიორგის ძე ბერძნიშვილი (ბერძენოვი) 1829 წელს სოფ. არდონში დაიბადა. განათლება თბილისის სასულიერო სემინარიაში მიიღო. XIX საუკუნის 50-60-იან წლებში იგი აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ „კავკაზში“, რასაც ერთხანს კიდევ რედაქტორობდა.

ნიკოლოზ ბერძნიშვილს ეკუთვნის რუსულ ენაზე გამოცემული წიგნის „თბილისი ისტორიული და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით“ (1870) დიდი ნაწილი და გამოკვლევა „სულხან საბა ორბელიანის მოგზაურობა ევროპაში“ (1869) (რუსულ ენაზე), ასევე, ეთნოგრაფიული ნარკვევები საქართველოსა და ჩრდილოეთ ოსეთზე 1864-74 წლებში. კავკასიის არქეოლოგიური კომისიის შემადგენლობაში იგი კომისიის „აქტების“ შედგენაში მონაწილეობდა. საყურადღებოა „კავკაზში“ 1857-1859 წლებში გამოქვეყნებული მისი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები. ბერძნიშვილი ქართული რეალისტური სალიტერატურო კრიტიკის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელია. მან ყურადღება გაამახვილა სინამდვილის მხატვრული ასახვის, ეროვნული თემატიკის მნიშვნელობის, ტიპურობის საკითხებზე, მთარგმნელობითი მუშაობის პრინციპებზე და სხვ. (ქართ. საბჭ. ენც. ტ. 2 გვ. 337).

საინტერესოა ნიკოლოზ ბერძნიშვილის შეხედულება ჟურნალის გამოცემასთან დაკავშირებით: „ჟურნალისტიკას¹ ყველაზე საიმედო და სამართლიანი გამტარებელი პირდაპირი, უშუალო გავლენა აქვს ლიტერატურაზე განსაკუთრებით. პირველი მეორის მიმართ ბირჟაა, რომელსაც ევროპაში სამართლიანად უწოდებენ სახალხო სიმდიდრის მაჯისცემას“ (ხუციშვილი, 1954: გვ. 64). ბერძენოვის აზრით, ჟურნალი აზრთა ურთიერთობის გაცვლის გზით საკაცობრიო იდეების ყველაზე საიმედო და სამართლიანი გამტარებელია.

¹ ტერმინი ჟურნალისტიკა ამ შემთხვევაში გულისხმობს ჟურნალს.

ნიკოლოზ ბერძნიშვილი ჟურნალ „კავკაზში“ თითქმის ყოველწლიურად წერდა სტატიებს „ცისკრის“ შესაფასებლად: „რამდენიმე სიტყვა ქართული ლიტერატურის შესახებ“, „ჟურნალ „ცისკრის“ თებერვლის წიგნაკი“, „ჟურნალ „ცისკრის“ რვა წიგნაკი“ - სამივე 1857 წელს დაიბეჭდა. „ჟურნალ „ცისკრის“ 1858 წლის 12 წიგნაკის იანვრიდან დეკემბრამდე, გაკვრით მიმოხილვა“ - დაიბეჭდა 1859 წელს და სხვ. უნდა აღვნიშნოთ, რომ „კავკაზში“ სტატიები რუსულად იბეჭდებოდა. სავარაუდოდ, ამას „კავკაზის“ რედაქცია ავალეზდა, რათა ხელისუფლება და შესაბამისი ორგანოები საქმის კურსში ყოფილიყვნენ და სცოდნოდათ, რა ტიპის სტატიები იბეჭდებოდა იმდროინდელ ქართულ ჟურნალებში. საინტერესოა ნიკოლოზ ბერძნიშვილის განმარტება, თუ რატომ წერდა ქართულენოვანი ჟურნალის შეფასებებს რუსულენოვან ჟურნალში: „რუსულად ვწერ და რუსულ გაზეთში ვბეჭდავ იმიტომ, რომ ათასზედ მეტი მკითხველი ჰყავს ამ გაზეთსა და მისივე საშუალებით თითქმის ევროპაშიაც კი შეიტყვეს, რომ ქართველებისა რაღაც ჟურნალი იბეჭდება ტფილისის ქალაქშიაო (ხუციშვილი, 1954: გვ. 143). აქვე საუბრობს რუსულ ენაზეც. მისი აზრით, საქართველოში იმდენად გავრცელებულია რუსული ენა, რომ მენახშირესაც კი ესმის, მისი ცოდნა კი ქართულის უპატივცემულობას სულაც არ გულისხმობს. ამის მაგალითად მოჰყავს მარი ბროსე, რომელიც წარმოშობით ქართველი არაა, მაგრამ შესანიშნავად ფლობს ქართულს, მეტიც, მას დიდი წვლილი მიუძღვის მნიშვნელოვანი საკითხების გამოკვლევაში და დიდ ღვაწლსაც სდებს.

ქვემოთ განვიხილავთ ნიკოლოზ ბერძნიშვილის სტატიებს, რათა მეტი წარმოდგენა შეგვექმნას მის, როგორც კრიტიკოსის შეხედულებებზე ჟურნალ „ცისკართან“ და მის თანამშრომლებთან მიმართებით.

„რამოდენიმე სიტყვა ქართული ლიტერატურის შესახებ - წერილი ნიკოლოზ გიორგის ძე ბერძნიშვილისა“ - დაიბეჭდა 1857 წელს, გაზეთ „კავკაზში“. შეეხებოდა განახლებული „ცისკრის“ პირველ ნომერს. „ცისკარში“ ნოტა-ბენეს ფსევდონიმით დაიბეჭდა წერილი: „ტფილისი თუ თბილისი?“ (1858 წ., №13). მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დიმიტრი ბაქრაძემ ვრცელი წერილი დასტამბა. ნ. ბერძნიშვილის ეს და მომდევნო პერიოდის სხვა სტატიები ქართული ლიტერატურული კრიტიკის ძვირფასი

შენაძენია. მან ამ წერილში საყვედური გამოთქვა ფრანგი მწერლის, მარმონტელის თხზულების („მეუდაზნოენი“) დაბეჭდვის გამო, რამაც შემდეგ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

ჟან-ფრანსუა მარმონტელი (1723-1799) პარიზის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, XVIII საუკუნის ბურჟუაზიული განმანათლებლობის იდეების მატარებელი იყო. საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის დროს რეაქციონური პოზიცია ეჭირა და უკანასკნელ თხზულებაში, „მოგონებები“, რევოლუციის მიერ დამხობილი მონარქიის დამცველად გამოდიოდა (ხუციშვილი, 1954: გვ. 423).

1771 წლიდან მეფის ისტორიოგრაფი იყო. წერდა პიესებს ვოლტერის² გავლენით („ტირანი დიონისე“, 1748; „არისტომენი“, 1749 და სხვ.). აქვეყნებდა სტატიებს ლიტერატურის საკითხებზე, რომლებიც გააერთიანა წიგნში „ლიტერატურის საფუძვლები“ (1787). სახელი გაითქვა უმეტესად „დამრიგებლური მოთხრობებით“, რომანით - „ინკები“, „მოგონებები“ და სხვ. საფრანგეთის საზღვრებს გასცდა მისი რომანის - „ველიზერი“ - პოპულარობა. ჯერ კიდევ 1882 წელს წიგნი ქართულად არქიმანდიტრმა გაიოზმა თარგმნა და მალე გავრცელდა საქართველოში. ცნობილია, რომ მის ამ ლექსს იცნობდა ბესიკი და დიდადაც მოსწონდა იგი. აქედან კარგად ჩანს, რომ ქართული ფილოლოგიური აზრი მეთვრამეტე საუკუნეშიც ეცნობოდა ევროპულ მწერლობას და იყვნენ მეცნიერები, (მეტწილად სასულიერო პირები) რომლებიც თავიანთ შხედულებებსაც აყალიბებდნენ.

კულტურული თვალსაზრისით, XVIII საუკუნეში საქართველო საკმაოდ დაწინაურებული იყო. გავიხსენოთ ვახტანგ მეექვსის, სულხან-საბა ორბელიანის, ვახუშტი ბატონიშვილის და სხვათა მიერ გაწეული ღვაწლი მეცნიერებაში, რომ აღარაფერი ვთქვათ მწერლობაზე; ერეკლე მეორე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებას. ქართულმა ფეოდალურმა არისტოკრატამ, რომელმაც გააცნობიერა თავისი ეროვნული მისია სამშობლოს წინაშე,

² ფრანგი მწერალი, დრამატურგი, განმანათლებელი და ფილოსოფოსი, ეკუთვნის ცნობილი პიესა „ოიდიპოსი“, დიდი გამოხმაურება მოჰყვა მის ტრაგედიას „მაჰმუდი“

სწავლა–განათლება მომხდური მტრების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ–ერთ იარაღად მიიჩნია. სამეფო ხელისუფლების ზრუნვა ქვეყნის კულტურული დაწინაურებისათვის კარგად ჩანს გატარებულ კონკრეტულ ღონისძიებებში: მეფეს ევროპიდან და რუსეთიდან ჩამოჰყავდა განსწავლული ადამიანები. იყო შემთხვევები, როცა ქართველები სწავლა–განათლების მიღების მიზნით უცხოეთშიც მიემგზავრებოდნენ. ცნობილია, რომ 1732 წელს დავით ტულუკაშვილმა, 1740 წელს კი ივ. ჯიგნაშვილმა ევროპაში (რომში) დოქტორის ხარისხი მიიღეს. (კოტეტიშვილი, 1965: გვ. 13). მიუხედავად აღნიშნულისა, ა ნ. ბერძნიშვილსა და სარდიონ ალექსი-მესხიშვილს შორის გამართულ პოლემიკას გარკვეული მნიშვნელობა გააჩნია. ამ დისკუსიაში ბევრი საინტერესო საკითხი იკვეთება, რომელთა შესწავლა ქართული კრიტიკული აზრის განვითარების ისტორიის სრულფასოვნად შესწავლაში გვეხმარება. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ლიტერატურული კამათი რუსულენოვანი გაზეთის ფურცლებზე იმართება.

სარდიონ ალექსი-მესხიშვილი უმთავრესად მთარგმნელობით მუშაობას აწარმოებდა, მას ეკუთვნის თარგმანი როჟე დე-ბოვარის „საფიანი“ („ცისკარი“, 1853 წ., № 7-9), მარმონტელის „მეუდაზნოენისა“ („ცისკარი“, 1857წ., №1-2), „ჟოკოსი“ („ცისკარი“, 1852წ., №15), ეჟენ სუს „მომავალი ურიასი“ („კრებული“, 1872 წ., №8-9) და სხვ. ს. ალექსი-მესხიშვილი ლადო ალექსი-მესხიშვილის მამა იყო (ხუციშვილი, 1954: გვ. 424).

სარდიონ დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილის „ანტიკრიტიკა“ ნიკოლოზ ბერძნიშვილის წერილის საპასუხოდ „კავკაზში“ 1857 წელს (№111) დაიბეჭდა. გაზეთის რედაქცია, ეტყობა არ ეთანხმებოდა სარდიონ ალექსი-მესხიშვილის მოსაზრებას და ამიტომ მისი წერილი დაიბეჭდა შენიშვნით: „ეს წერილი შეადგენს პასუხს ჩვენი გაზეთის მე-4 ნომერში მოთავსებული ქართული ჟურნალის პირველი წიგნის ანგარიშისა. ჩვენ მას ვათავსებთ დიპლომატიური სიზუსტით, ავტორის მხრით საყვედურის გამოთქმის შიშით მიკერძოებულობაში, ვიცავთ ყველა ორიგინალურ ფრაზასა და სწავლულ ტერმინებს მათი ხმარებისა და თვით მათი აზრისთვის პასუხისმგებლობის გარეშე“. ს. ალექსი-მესხიშვილმა დაიცვა ჟან მარმონტელი ნ.

ბერძნიშვილის თავდასხმისაგან და დაიცვა მის მიერ თარგმნილი თხზულებაც. მან გამომამყდავანა ის პოზიცია, რომლის წინააღმდეგაც 60-იან წლებში ილია ჭავჭავაძემ გაილაშქრა.

მოულოდნელი არაა, რომ სარდიონ ალექსი-მესხიშვილის მთარგმნელობითი საქმიანობა მხედველობიდან არ გამოჰპარვია ილია ჭავჭავაძეს. ილია ამ თარგმანებს არ იცნობდა და მათზე გარკვეული აზრი ჰქონდა შემუშავებული. შემთხვევით არ მომხდარა, რომ ილიამ თავის პირველ კრიტიკულ წერილში ს. მესხიშვილის ერთ-ერთი თარგმანი მოიხსენია (მახარაძე, 1965: გვ. 28).

ილია სარდიონ მესხიშვილის თარგმანს ავკარგიანობის ჩვენების მიზნით არ განიხილავს. იგი ამ თხზულებას წმინდა იდეური თვალსაზრისით უდგება. ილია ამბობს, რომ მესხიშვილის თარგმანს ქართველი მკითხველისათვის სარგებლობის მოტანა არ შეუძლია იმდენად, რამდენადაც თარგმნილი თხზულება არ ეხმაურება ქართველი ხალხის ცხოვრებას, მის ახლანდელ მდგომარეობას და მისწრაფებას (მახარაძე, 1965: გვ. 29). ილიას სტატიას გამოეხმაურა სარდიონ ალექსი-მესხიშვილი ჟურნალ „ცისკარში“ დაბეჭდილი სტატიით „უსტარი ანტიკრიტიკული“, რაც იგივე შინარსისაა, როგორც ნიკოლოზ ბერძნიშვილისადმი იყო დაბეჭდილი, ალექსი-მესხიშვილი კვლავ იცავს მარმონტელს.

„მარმონტელი უსიტყვოდ ლუი XV-ის დროის მწერალია, მაგრამ მისი წერის სტილი ასახავს XIV საუკუნეს, რომლის დროსაც ფრანგულმა სიტყვიერებამ მიაღწია თავის აპოგეას და პარიზის ბრწყინვალე კარი კეკლუცობდა მისი მწერლობით, რომლითაც სულ არ დაეკარგათ თავისი დიდება, არა მხოლოდ გვიანდელ თანამემამულეთა, არამედ სხვა განათლებულ ხალხთა თვალშიც. მწერლების დაწუნება მათი ხანდაზმულობისა გამო სირცხვილიცაა, ცოდვაც და უმადურობაც. საფრანგეთის სინდისი ბუალო,³ ენერგიული ბოსუეტი, ოქროპირი ფენელონი,⁴ შეუდარებელი

³ ფრანგი პოეტი, კრიტიკოსი და თეორეტიკოსი, მეფე ლუი XIV-ის სასახლის კარის ისტორიოგრაფი.

⁴ ფრანგი მწერალი და რელიგიური მოღვაწე

მოლიერი⁵, ომახიანი ჟან-რასინი⁶ და სხვანი მრავალნი, უკვდავნი არიან მადლიერი შთამომავლობის ხსოვნაში. მარმონტელის ენა არ არის ღვარჭნილი და გადამეტებით ბრჭყვიალა, როგორც მისი თანამედროვეებისა, არამედ უბრალო, ნარნარა და არაა მოკლებული საგნის სურათოვნების კოლორიტს.“

მესხიევის აზრით, XII საუკუნის უცხოური თარგმანები სპარსული ხელნაწერებისა, პატრიარქალური დროის საზღაპრო ლაყბობით აღსავსენი არიან „იმ დროის, როცა მაჰმადის წითელთავა (ყიზილბაშების) მონათა ნაყოფიერ წარმოდგენაში არსებობდნენ ირანის, არაბისტანის, ინდოსტანისა და კავკასიის მთებში მცხოვრები მდევები და აირები“. ალექსი-მესხიევი ასაბუთებს თუ რატომ არ უნდა გადაიტანოს ახალბედა ჟურნალის ფურცლებზე მითიური დროებანი: „მითიური დროებანი უკვე დიდი ხანია დაფარულია პირქუში საუკუნეების მძიმე საფარველით, მითოლოგია გალღვა ფიზიკაში და ცრუმორწმუნეობის ღრუბელი გამქრეულია! ახლა ჩვენ XIX საუკუნეში ვართ, რომელსაც უნდა სხვა, გონებისა და გულისათვის ადვილად მოსანელებელი საჭმელი“. აქვე ასახელებს ბერძენ ჰომეროსსაც: „ჰომეროსის სანიმუშო ქმნილებაშიც ზღაპარი მნიშვნელოვან როლს თამაშობს, მაგრამ იქ ისე არაფერი არა გამოდის რა ბუნების ფარგლებიდან, ყველაფერი მოფიქრებულია გონივრულად და მოსწრებულად: ღმერთებიცა და ფანტასტიური ქმნილებანიც ადამიანის ბუნებას არიან დაახლოებულნი. სწორ ფიზიკურ დაკვირვებები ან და საგნებზე აზრიან შეხედულებები ან ამ მოსწრებულ ზღაპრებზე არის დაყრდნობილი შემდეგ ბერძენ ფილოსოფოსთა გონებით ჭვრეტა, რომელთა სიცრუემაც კი სარგებელი მოიტანა“ (ხუციშვილი, 1954: გვ. 72).

წერილიდან ჩანს, რომ მესხიევმა თარგმანა როჟე დე-ბოვარის „საფიანი“, მარმონტელის - „მეუდაბნოენი“, „ჟოკოსი“, ეჟენ სუს - „მომავალი ურია“. ავტორი ასევე ახსენებს ბუალოს, ენერგიული ბოსუეტს, ოქროპირი ფენელონის, შეუდარებელ მოლიერს, ომახიან ჟან-რასინს, რომელთა შემოქმედებას და უკვდავ სახელს აქებს.

⁵ ფრანგი დრამატურგი და თეატრალური მოღვაწე, მაღალი კომედიის ჟანრის ფუძემდებელი, მის კალამს ეკუთვნის ერთ-ერთი პოპულარული პიესა „დონ ჟუანი“.

⁶ XVII საუკუნის ფრანგი დრამატურგი, კლასიკური ტრადიციების მემკვიდრე, თემებს იღებდა ანტიკური მითოლოგიიდან, ეკუთვნის ტრაგედიები: „ანდრომაქე“, ბრიტანიკი, „იფიგენია“

ზემოთხსენებულ ავტორებს მარმონტელის, როგორც კარგი მწერლის დანახვის მიზნით ახსენებს. წერილში გვხდება ჰომეროსის სახელიც, რომელიც დიადი და უკვდავი შემოქმედებით გვამახსოვრებს თავს. ცხადია, მესხიევის მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ქართული საზოგადოებისათვის უცხო კი არ არის ფრანგული კლასიკური ლიტერატურა, არამედ საკმაოდ კარგად იცნობს მას.

„ჟურნალ „ცისკრის“ თებერვლის წიგნაკი“ - ნიკოლოზ ბერძნიშვილისა, დაიბეჭდა „კავკაზში“ 1857 წელს (№114, №115). ნიკოლოზ ბერძნიშვილმა „ცისკრის“ შესახებ დაწერილი ყველა წერილი გააერთიანა ერთი სათაურით „ქართული ლიტერატურა“ (ხუციშვილი, 1954: გვ. 424).

ნიკოლოზ ბერძნიშვილი წერილში აღნიშნავს ქართველი პოეტების დამსახურებას მშობლიური ლიტერატურის საქმეში. „ვეფხისტყაოსანს“ ასახელებს ქართული ხალხური პოეზიის საფუძვლად, რომელიც მრავალ საუკუნეს გაუძლებს თანამემამულეთა სმენისა და გონების დასატკბობად. ამისთანა ნიმუშები არასოდეს მეორდება, როგორც არ განმეორებულა ჰომეროსის - „ილიადა“, დანტეს - „ღვთაებრივი კომედია“. მწერლის აზრით, ასეთი თხზულებები უნდა ისწავლებოდეს, უნდა გვიკვირდეს და არა ვბაძავდეთ. ბერძნიშვილი დანტესა და ჰომეროსს საფუძვლიანად იცნობს და ეს გარემოება მას აძლევს შესაძლებლობას, რომ რუსთაველი მათ გაუთანაბროს.

ნიკოლოზ ბერძნიშვილი ახსენებს პუშკინსა და ლერმონტოვს, რომელთა პოეტურ შემოქმედებაში თერგსა და არაგვს დაეჭირათ ადგილი. აგრეთვე ახსენებს ალექსანდრე ჭავჭავაძეს, რომელმაც დატოვა იგავი „მგლისა და კრავისათჳს“ და ამბობს, რომ იგი არ არის თარგმანი ლაფონტენისა⁷ და კრილოვის ცნობილი იგავისა, „მიბაძვას, რომელიც გამოირჩევა დამოუკიდებლობით და გარეგანი მშვენიერებით“; კომენტარი ცხადყოფს, რომ ავტორი სიღრმისეულად იცნობს ამ მეიგავეთა შემოქმედებას, რაც თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ ქართული საზოგადოება კარგადაა გაცნობიერებული მსოფლიო კლასიკურ მწერლობაში.

⁷ ფრანგი პოეტი და მეიგავე, მნიშვნელოვანია იგავთა კრებული, რომელიც 6 წიგნად მოგვცა.

საინტერესოა „კორსიკანელი“, სადაც ლაპარაკია ნაპოლეონ პირველზე,⁸ რომელიც ოცნებობს, ჩრდილოეთის სახელმწიფო ხელში ჩაიგდოს. იგი ორთავიან არწივს შემოსევით ემუქრება, მაგრამ არწივი მზადაა მოიგერიოს დამპყრობელი; როგორც ცნობლია, ეს იდეა არ არის ახალი. მან უკვე აღაგზნო შთაგონება, ისეთი დიდი პოეტებისა, როგორებიც იყვნენ: პუშკინი, ლერმონტოვი და სხვ. მაგრამ იგი დიდ ინტერესს იძენს სწორედ ქართველი მკითხველისათვის“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს დაწერილი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის „ნაპოლეონ“. მართალია ეს ლექსი ვიწრო წრისთვის იქნებოდა ცნობილი, მაგრამ ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ ნაპოლეონით დაინტერესებაც საყურადღებო ფაქტია. რამდენადაც გვამღევეს უფლებას, დავასკვნათ, რომ ქართველი პოეტები აქტიურად ეხმიანებიან მსოფლიო პოეტთა ესთეტიკურ კონცეფციას.

ნიკოლოზ ბერძნიშვილმა გააკრიტიკა ალექსი-მესხიშვილი, როცა თავის წერილს ანტიკრიტიკა უწოდა. „საიდან აიღო ჩვენმა პატივცემულმა ანტაგონისტმა, რომ ჩვენ „ვიწუნებთ დიდ მწერლებს მათი დიდი ხნის წინ ცხოვრების გამო? - არა ჩვენ მასზე ნაკლებ არ ვცემთ პატივს ბუალოს, რასინსა და სხვათ“. ბერძნიშვილი აღნიშნავს, რომ ალექსი-მესხიევი უგულვებელყოფით მოიხსენიებს ძველ ქართველ პროზაიკოსებს, რომელთა თხზულებებს პატრიარქალურ ბოდვას უწოდებს, მკაცრად ხვდება სპარსულ მითოლოგიას, „...თითქოს მასში არ არის არაფერი, გარდა სულებლური ფანტაზიის ბავშვური ზღაპრებისა, რომელნიც მოკლებული არიან ყოველგვარ აზრსა და მნიშვნელობას. ზოროასტრი? მისი ზენდ-ავესტა, რომლის შესწავლისათვის შრომობდნენ და ახლაც შრომობენ ამდენი მსწავლულნი, აღარას ვამბობთ ფირდოუსის ცნობილ პოეზიაზე, საადის,⁹ ჰაფიზის¹⁰ და სპარსული პოეზიის სხვა წარმომადგენლების შესახებ“ (ხუციშვილი, 1954: გვ. 79). როგორც ვხედავთ, ბერძნიშვილის აზრით, საჭიროა ქართველი მკითხველი ინფორმირებული იყოს მსოფლიო ლიტერატურისა თუ

⁸ საფრანგეთის მმართველი XVIII ს-ში, სამხედრო და პოლიტიკური ლიდერი, იმპერატორი.

⁹ სპარსი პოეტი, სიტყვის დიდოსტატი, მის მემკვიდრეობას შეადგენს ლირიკულ ლექსთა ოთხი დივანი „ბუსთანი“, რომელიც 1964 წელს ქართულად თარგმნა დავით კობაძემ

¹⁰ ირანელი ისტორიკოსი და გეოგრაფი, ეკუთვნის 4 ტომიანი „მატიანეთა კრებული“ – „მაჯმა აღ-თავარიხი“

ფილოსოფიის წარმომადგენლების შესახებ, მაგრამ მათი შეხედულებების ბრმად გაზიარებას, რა თქმა უნდა, არ აღიარებს.

ჩვენთვის მთავარია, მსჯელობაში დავინახოთ ის, თუ ვის ახსენებს კრიტიკოსი, რამდენად იცნობს იგი ამა თუ იმ ავტორს, რათა გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ XIX საუკუნის 50-იანი წლების ქართული საზოგადოების განათლებაზე, ნაკითხოებაზე და ა.შ. ნათელია, რომ სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული ნიკოლოზ ბერძნიშვილი განათლების დონითა და ანალიტიკური აზროვნებით სხვებს არ ჩამოუვარდება.

ქართული ჟურნალის თებერვლის წიგნის სამეცნიერო ნაწილი უკავია უფ. დიმ. ბაქრაძის წერილს, სათაურით: „საქართველოს ისტორიის წყაროები“. ეს წერილი ასე შეაფასა პროფესორმა ჯუმბერ ჭუმბურიძემ: „მართებულად მშვენივრად არის შემკული აკადემიკოსის ბროსეს სახელით; წერილი დაწერილია ცოცხალი, ყველასათვის გასაგები ენით.“ უფ. ბაქრაძე იძლევა მეტად მოხდენილ მაგალითს თუ როგორ უნდა იწერებოდეს ქართულად, გასაგებად, პოპულარულად, წერა-კითხვის მცოდნე ყველა ქართველისათვის“; (ხუციშვილი, 1954: გვ. 80). ე.ი. მნიშვნელოვანი იყო, კრიტიკოსებს მკითხველისთვის გასაგებად ეწერათ.

წერილის ბოლოს ავტორი ასკვნის: „ერთის სიტყვით, ბროსემ იმდენი შრომა გასწია ქართულს ლიტერატურისათვის, რომ ერთი კაცისაგან ამდენი დაუჯერებელია, იმისი და სხვა მწერლების თხზულებები საქართველოზედ, ევროპულს ენებზედ, ქართველებისათვის არის ჯერ ქუჭყანა რამე უცნობი; ვალი იმათის ცნობაში მოყვანისა ჰსძევს ახლად დაფუძნებულს ქართულს ჟურნალს: ზოგი სტატია უნდა ითარგმნოს, ზოგი გამოკრებით დაიბეჭდოს. მარტო ეს არის ვალი „ცისკრისა“, აქ უნდა შემოვიდეს ყოველივე, რაც რამ შეეხება ქართულს ისტორიას, არხეოლოგიას, თუ ეთნოგრაფიას ანუ ზნე-აღწერას. ბევრი, - რას ვამბობთ, - უმეტესი ნაწილი, რაც საქართველოში იპოვება ძუჭლებური, არ არის ჯერ სინათლეზე გამოყვანილი, ეს შრომა უნდა გავსწიოთ ჩუჭნ, საქართველოს შვლთა: რაც ევროპიელს მწერლებისათვის დიდად ძნელია საქართველოზედ ძიება, ის ჩვენთვის დიდად ადვილია...“ (ხუციშვილი, 1954: გვ. 81 (ქრ ტ. I).

ჟურნალ „ცისკრის“ რვა წიგნაკი ბერძნიშვილმა დაბეჭდა 1857 წელს გაზეთ „კავკაზში“. მათში საუბრობს ჟურნალ „ცისკრის“ შემოქმედებით პროცესზე მარტიდან-ოქტომბრამდე. მიუხედავად იმისა, რომ „ცისკარი“ „ერთ ბეწვა სტამბაში“ იბეჭდებოდა, აღნიშნავს ავტორი, მისი გამოცემა არასდროს დაგვიანებულა.

„ჩვენ ვეთანხმებით იმ აზრს, რომ ყოველგვარი ლიტერატურული ცდა, განსაკუთრებით პირველი, მოითხოვს შეწყნარებას, მაგრამ არა უსიტყვო, არამედ აზრიან შეწყნარებას, რომელსაც ნიშანიც კი არ ედება მიკერძოებისა, რომლითაც ყოველ შემთხვევაში, შეიძლება დაზარალდეს კეთილსინდისიერი, საფუძვლიანი შეხედულება საგანზე. უამისოდ ვერ გაექცევი თვითცდუნებას, რომლითაც ერთი ნაბიჯის გადადგმაც არ შეიძლება, რადგან მას, თვითცდუნებას, უყვარს მხოლოდ კენწეროების წაპოტინება, - თვლის რა შრომასა და გულმოდგინებას სრულიად ზედმეტად საქმიანობაში“ (ხუციშვილი, 1954: გვ. 94).

მაშასადამე, ბერძნიშვილი ითხოვს გულწრფელ შეფასებას, რაც შემდეგში არ გაათამამებს მას, თუმცა, ეს შეფასება უნდა იყოს აზრიანი და სიკეთის მომცემი, რითაც მოგვიანებით არ დაზარალდება მათი შეხედულებები.

ნიკოლოზ ბერძნიშვილის წერილი სათაურით „ჟურნალ ცისკრის რვა წიგნაკი (მარტიდან ოქტომბრამდე)“, რომელიც გაზეთ „კავკაზში“ 1857 წელს დაიბეჭდა, ვკითხულობთ ალექსანდრე ჩიქოვანის ლექსის - „დროება საუკონოებისადმი“ შეფასებას: „მდინარის პირზე მდგარ ხეს ქარიშხალმა ტოტი მოსტეხა, რომელიც უცნობი ქვეყნისაკენ წაიღეს ტალღებმა... კეთილი გზა ვუსურვოთ მას და წავიდეთ შორს, ქართული ჟურნალის ვრცელ კაბადონზე. პოეზია დამთავრდა, იწყება პროზა: „ცოლის სიყვარული“ (მართლაც, რა პროზაა!), მაგრამ სიყვარული, თანაც მეუღლური - ეს ისეთი პოეზიაა და იშვიათობა ჩვენს დროში, რომ სრულიად და სრულიად ბევრი ოხრავს მისთვის! თუმცა, ვნახოთ, იქნებ ქართველმა ცოლებმა სხვაგვარი სიყვარული იციან: ვეზუვის ფერდობზე...ნეაპოლური ჩვეულებანი...გრაფი ოდოარდო და გრაფინია ლია...“ (ხუციშვილი 1954: გვ. 97) კრიტიკოსი არაა უცხოური ლიტერატურიდან სიტყვა

სიტყვით თარგმნის მომხრე: „ჩვენში, საქართველოში, სადაც ევროპეიზმს ასე მცირე წარმატება აქვს, რაღაც უცნაურად მოისმის ეს გრაფები და გრაფის ქალები თავისი ბრჭყვიალა ქალებით“ (ხუციშვილი 1954: გვ. 97) .

„ჩვენ არ ვდაობთ, რომ იდეის მქონე ორიგინალური თხზულებისათვის საჭიროა შემოქმედება, ნიჭი, მხატვრული აღზრდა დამყარებული უმაღლესი ნიმუშების შესწავლაზე. ასეთ შემთხვევაში, რასაკვირველია, არ შეიძლება ვთარგმანოთ და მიბადვის გარეშე, ლიტერატურული თვალსაზრისით, მდიდარი ენებიდან; მაგრამ, ღვთის გულისათვის, მიბრძანეთ, რა საჭიროა ასეთი მონური სურათი, მკრთალი ასლი, რომელშიც, ყველა თუ არა, უმეტესი მაინც ჩვენთვის უცხო, გაუგებარი გამოდის. მოთხრობებისა და ამბების ასეთი სიტყვასიტყვითი გადატანის უხერხულობა განსაკუთრებით იგრძნობა ისეთ ენაზე, როგორც ქართულია; არ ვლაპარაკობთ რომელიმე მეცნიერების საგანზე, რომელშიც ერთხელ და სამუდამოდ წარმოიშვნენ ცნობილი ტერმინები და ნიშნები და რომელნიც ენამ უნდა აითვისოს ნელ-ნელა, ხალხში მეცნიერების გავრცელების შესაფერად. მაგრამ დასაწყისისათვის, უმრავლესობაში კითხვის ნამდვილი სურვილის აღძვრის მიზნით, რატომ არ უნდა გაკეთდეს წმინდა ბელეტრისტული ნაწარმოებები იმ ქვეყნის სულისა, ენისა და ცხოვრების შესაფერად, რომლისთვისაც ასეთ შრომას ვეწევი? (ხუციშვილი, 1954: გვ. 97).

ბერძნიშვილის მიერ მოყვანილი ციტატიდან ჩანს რომ, ის არ ემხრობა უცხოური ლიტერატურის სიტყვა-სიტყვით თარგმნას. მისი აზრით, უფრო საინტერესო იქნება თუ გმირებს ადგილობრივ კოლორიტს მიანიჭებენ. გვთავაზობს გარკვეულ კრიტერიუმებს: „მაგრამ მიეცით გმირებს ცოტათი მაინც ადგილობრივი კოლორიტი, ქათიბი მაინც ჩააცვით, გულისპირი; მოდური ქუჯის მაგიერ დაახურეთ ქართული თავმორთულობა, რომელშიც მეტი პოეზიაა, დაარქვით გმირებს ზურაბი, არჩილი, ხოლო ქალებს თინათინი, ქეთევანი, ტასია - ერთი სიტყვით რაც გინდოდეთ ამისი მსგავსი“ (ხუციშვილი, 1954: გვ. 97).

ბერძნიშვილი საუბრობს ეროვნული და უცხოური ლიტერატურის ურთიერთმიმართების შესახებაც: „ჩვენში, საქართველოში, სადაც ევროპეიმს ასე მცირე წარმატება აქვს, რაღაც უცნაურად მოისმის ეს გრაფები და გრაფინიები თავის ბრჭყვიალა სახელებით. დეე, იდეა დარჩეს, იგი საერთოა მთელი კაცობრიობისთვის და ყველგან იპოვის გამოძახილს;“ (ხუციშვილი, 1954: გვ. 97)

ავტორი საუბრობს ჟურნალ „ცისკრის“ მე-4 წიგნაკზე, სადაც მოთავსებულია ლექსები: „მოთქმა გლახაკისა“, უფ. კერესელიძისა, „ნ“ ასეთივე ხელმოწერით, „ვედრება“, თავ. ალ. ჩიქოვანისა, „ფარვანა და სანთელი“, უფ. ბ. ჩ. - სი და „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“, იგავთაგან გადმოკეთებული განსვენებული თავადის ალ. ჭავჭავაძისაგან (ხუციშვილი, 1954: გვ. 99).

ამავე წერილში ბერძენოვი საუბრობს დავით რექტორის ხუთ კუპლეტიან ლექსზე „გლოვა არშიყისა“: „...რაღაც ამაღლებული, რუსთველური მოჭერის ამ ლექსთაგან, თითოეულ ლექსში გამოსჭვივის სული, დამწუხრებული სიყვარულით, მწარე მოთქმა ცრუ სოფლის მუხანათობაზე, ნაღველი გულისა, რომელიც სიყვარულის პასუხს არ იწვევს, ხელი არ იძვრის, რომ სუსტი პროზით გადმოიცეს ეს სანიმუშო ლექსი: მასში იპოვება ისეთი ადგილები და ქცევანი, რომელთაც ზუსტად ვერ გამოთქვამ სხვა ენაზე“ (ხუციშვილი, 1954: გვ. 99).

როგორც ვხედავთ, ბერძნიშვილი აღფრთოვანებულია ლექსის გამო, ის ამავე წერილში შენიშნავს, რომ ეს ლექსი გვაგონებს სიმღერას, რომელიც სუფრაზე იმღერება, ოღონდ ისეთ სუფრაზე, სადაც იციან წერა-კითხვა, უფრო ქალაქში, სადაც „გავრცელებულია წერა-კითხვის ცოდნა და სიყვარული საყვარელ პოეტთა ხელნაწერების კითხვისა“. კრიტიკოსი მადლობას უხდისა ჟურნალის რედაქციას ამ ლექსის დაბეჭდვის გამო და იმედოვნებს, რომ კიდევ მრავალ ასეთ არქივში დამარხულ ლექსს აღმოაჩენენ და გაუზიარებენ საზოგადოებას.

ბერძნიშვილი აღიშნავს, რომ აღმოსავლეთის პოეზიას მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ქართველ პოეტებზე და აღნიშნავს: „...მაგრამ ახლანდელეებში ევროპული

წესისაკენ გადახრილი დამოუკიდებელი მიმართულების წყალობით აჩრდილიც არ შეიმჩნევა იმ გავლენისა“.

1857 წლის „ცისკრის“ ივნისის წიგნაკში სიამოვნებით იკითხება ლექსები: თავ. დ. მაჩაბლისა - „ჩემი ლოცვა“ და მგალობლიშვილის მიერ თარგმნილი „ეპიღრამა“. დანარჩენ ოთხ ნომერში განსაკუთრებით შესანიშნავია: „ოდა მღვთისა“, თავ. დ. ციციშვილისგან თარგმნილი. მის დასასრულს პატივცემული ავტორი სრულიად მართებულად ბეჭდავს მორიდებულ მოწოდებას მკითხველთა მიმართ მოწყალებისა და თხოვნისათვის ლექსითვე, შეასწორონ შეცდომები, თუკი აღმოაჩენენ მათ, თითქოს ქართული ჟურნალის იმ თანამშრომელთა სამუნათოდ, რომელთაც თავი ყოველგვარი კრიტიკის ზევით და გარეშე უჭირავთ; „თევზისა და მებადურის შესახებ“, პუშკინიდან თარგმნილი უფ. მგალობლიშვილისაგან და „მეუდაბნოე და დათვი“, იგავი კრილოვისა, გადმოკეთებული უფ. ისარლიშვილის მიერ. პროზაული სტატიებიდან მივუთითებდით: ისტორიულ ნარკვევებზე ქართველთა წარმოშობის სიძველის შესახებ უფ. ს. დოდაშვილისა, თუმცა, ეს წერილი მეცნიერული ნაკვალების ჭარბი სიმშრალით ხასიათდება, რაც არ შეეფერება ლიტერატურულ ჟურნალს; „რამე ძალისათვის მუსიკისა“ - რამდენიმე მოთხრობა თავ. ციციშვილისა, რომელთა შორის ერთში ვნახულობთ უცნაურ და უადგილო შეხედულებას ქალის მნიშვნელობაზე საერთოდ და ეპიზოდი მეფე ერეკლეს ცხოვრებიდან, მოთხრობილი უფ. რჩეულიშვილის მიერ. დანარჩენთა შესახებ ვდუმვართ, რადგან მხედველობაში გვაქვს ძველთაგან დადგენილი წესი: „De mortuis aut bene, ani nihil“ (ხუციშვილი, 1954: გვ. 103).

ჟურალ „ცისკარის“ მუშაობასთან დაკავშირებით სხვადასხვა ცნობილმა პიროვნებამ გამოთქვა საკუთარი მოსაზრება, მაგალითად ჟურნალ „კავკაზის“ რედაქტორმა ფედოტ ფედოტის ძე (ფადეი) ბობილევმა. მან „კავკაზის“ 1197-ში გამოაქვეყნა წერილი „ქართული ლიტერატურის შესახებ“, სადაც აფასებს „ცისკრის“ მუშაობას.

ბობილევი იმედოვნებს და სიხარულს გამოთქვამს, როცა „ცისკარი“ „განთიადად“ და „ბრწყინვალე დღედ“ გადაიქცევა. იგი რედაქტორიც ყოფილა. მისი რამდენიმე ლექსი დაბეჭდილია ალმანახ „Зурна“-ში 1855 წელს, მათ შორის „Имеретинская мелодии“

მიძღვნილი ე. ვერდერევესკისადმი¹¹. ერთი ლექსი, „Леэгинка“ განსაკუთრებით ექსპრესიულია, ცოცხლად გადმოსცემს ქართული ცეკვის რიტმს და მოქნილობას (ხუციშვილი, 1954: გვ. 425).

ბობილევნი წერილის დასაწყისში საუბრობს თავის დადებით ემოციებზე „ცისკრის“ გამო, რომ მოხარულია ქართულ ენაზე გამოჩენილი ჟურნალის გამო. „ლიტერატურა არის ცხოვრების გამოსახვა; მაშასადამე, იმისათვის, რომ ლიტერატურა იყოს დამოუკიდებელი, საჭიროა, რომ ხალხიცა და ცალკე პიროვნებაც დამოუკიდებელი იყვნენ. ამ მხრივ, ჩვენი აზრით, ქართული ლიტერატურისთვის დრო წასულია. მის ძველ ეპოქასა, როცა გალობდა შოთა რუსთაველი, როცა მეფე - ისტორიკოსნი ქვეყნის ისტორიას თხზავდნენ წარსულის ნაწყვეტი ქრონიკებიდან და ამ დროსა და ახლანდელ ლიტერატურას შორის სწორედ ისეთი განსხვავებაა, როგორც ძველ, მეზობელთან ბრძოლით მგმინავ, ისტორიულ საქართველოსა და თანამედროვე საქართველოს შორის, რომელიც ნელ-ნელა შედის განათლებული ევროპის შედგენილობაში, ჩვენი, მისთვის სიყვარულით მზრუნველი მეფეების უფლების ძალით. რომ სწორი თვალთახედვის სიმალეზე ვიდგეთ, საიდანაც საგნებს უტყუარად გავარჩევთ და არც დავიბნევით, საფუძვლიანად უნდა იქნეს მიღებული, რომ ახლანდელი საქართველოსათვის უნდა არსებობდეს ორი ლიტერატურა: ლიტერატურა წარსულისა და აწმყოს“ (ხუციშვილი, 1954: გვ. 104).

როგორც ვხედავთ, ბობილევმა ქართულ მწერლობაში გამოყო ორი ლიტერატურა: წარსულისა და აწმყოსი, რომელთა შორის ძალიან დიდი განსხვავებაა.

ბერძნიშვილი ქართული ლიტერატურის აღორძინების აზრს იზიარებს, თვითონ ლიტერატურას კი, დავიწყებულს, ჩამკვდარს უწოდებს. ბობილევის აზრით, ახლანდელ დროში ლიტერატურის აღდგენისათვის ზრუნვა უნაყოფოა, ისევე, როგორც რუსეთში სლავური ენის აღდგენისათვის ბრძოლა იქნება უნაყოფო. „ისწავლეთ თქვენი რუსთაველი, როგორც ჩვენ ვსწავლობთ „იგორის“ ლაშქრობების მომღერალსა და ჩვენს ხალხურ სიმღერებსა და ზღაპრებს, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, დაფიქრდით, რომ

¹¹ რუსი მწერალი, მუშაობდა გაზეთ „კავკაზში“.

ქართული ლიტერატურის წარსულსა და აწმყოს შორის ნათელ მიჯნად ჩადგა ბედი საქართველოსი, მისი პოლიტიკური და ისტორიული გარდატეხა“ (ხუციშვილი, 1954: გვ. 105). როგორც ვხედავთ, ბობილევის მსჯელობა მიზნად ისახავს, ქართველებს გული გაუფრილოს მშობლიური ძველი ლიტერატურის სრულფასოვან შესწავლაზე.

ბერძნიშვილის აზრით, ქართულში უცხოური ტერმინები არ უნდა შემოვიდეს და დამკვიდრდეს. მათ ნაცვლად უნდა გამოვიყენოთ ქართული სიტყვები, ტექსტების გადმოთარგმნისას ეს ფრაზები შევცვალოთ ადგილობრივით, ჩვენებური იერი მივანიჭოთ მას, რასაც ეწინააღმდეგება ბობილევი და მაგალითად მოჰყავს საზღვარგარეთის მწერლები და მათი შემოქმედება, თუ როგორ გავლენას ახდენს მკითხველზე და როგორ სურს მკითხველს თავიანთი საყვარელი გმირის როლში შესვლა...“ არაერთ თავადის ასულს სურს ხვალ გრაფინიად იქცეს, არაერთმა უკვე მოიშორა თავსაკრავი მოდური თავსამკაულისათვის. არაერთი მათგანი უკვე გრძნობს შექსპირისა და ბაირონის მშვენიერებას, ესმის ჰიუგო და ჟორჟ-ზანდი. არაერთმა თავადმა დაიწყო გამოძიება დომბალისა, ტეერის და, იცის, რომ ქვეყანაზე ცხოვრობდნენ სეი,¹² რიკარდო და ბასტია (ხუციშვილი, 1954: გვ. 105). ბობილევის აზრით, მკითხველის გონებაზე ასეთი ზემოქმედება, უცხოური ლიტერატურის გავლენა არის წინსვლა და სიცოცხლის მომნიჭებელი: „წინსვლითი მოძრაობა შეადგენს ბუნებისა და ყველა ცოცხალი ორგანიზმის კანონს, გაჩერება და უკან დაბრუნება არის ნიშანი ავადმყოფობისა და სიკვდილისა“.

სტატიაში გაჟღერებულია შექსპირისა და ბაირონის სახელები, რომელთა შემოქმედებაც მშვენიერს უწოდებს. ახსენებს ჰიუგოს, ჟორჟ სანდის, სეი სიონაგონსა და სხვ.

ბობილევის წერილი ცხადყოფს თუ როგორი შეფარვით იწყება ბრძოლა ქართული ტრადიციული მწერლობის მიმართ. თანამედროვეობისა და ევროპეიზმის სპეკულაციით მთავარი ყურადღება უნდა გადაიტანოს ახალი დროის მწერლობაზე, მაგრამ ნიკოლოზ

¹² სეი სიონაგონის ნამდვილი სახელი უცნობია, იდუმელებითაა მოცული მისი ბიოგრაფიაც, მას ეკუთვნის 306 ჩანაწერი, რაც „სასთუმალის წიგნის“ სახელითაა ცნობილი, მოღვაწეობდა იმპერატორის სასახლის კარზე.

ბერძნიშვილი ცდილობს მკითხველს შთააგონოს, რომ არ მოადუნოს ყურადღება; არ დაივიწყოს მდიდარი ქართული მწერლობის ისტორია.

თუმცა ახალბედა „ცისკარს“ და საერთოდ ქართულ მწერლობას ჯერ კიდევ არ გააჩნდა კონკრეტული კონცეფცია, რომელიც მკაფიოდ გამოკვეთდა ეროვნული ლიტერატურის მიმართულებას. ეს მოხდა ცოტა მოგვიანებით. კერძოდ, ილიასა და აკაკის ანუ „თერგდალეულების“ სამოდვანო ასპარეზზე გამოსვლისას. ჩვენი აზრით, სავსებით ლოგიკურია, რომ მას შემდეგ ათეული წელიც არაა გასული, რაც ქართული ჟურნალი გამოვიდა, ეროვნულ მწერლობას ვერ ექნებოდა გარკვეული სამოქმედო პროგრამა. იგი ჯერ კიდევ პირველ ნაბიჯებს დგამდა. 1832 წლის შეთქმულების დროინდელი რეპრესიები ყველას კარგად ახსოვდა. ქართული ლიტერატურა ახალად იდგამდა ფეხს ახლებურ პოლიტიკურ გარემოში. სწორედ ამას აღნიშნავდა ლავრენტი არდაზიანი, როცა ნიკოლოზ ბერძნიშვილის საპასუხოდ „ცისკარში“ სტატია გამოაქვეყნა.

თავი IV

ნიკოლოზ ბერძნიშვილი - ლიტერატურისმცოდნე და კრიტიკოსი

როგორც უკვე ვთქვით, ნიკოლოზ ბერძნიშვილი ქართული რეალისტური სალიტერატურო კრიტიკის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელია. მან ყურადღება გაამახვილა სინამდვილის მხატვრული ასახვის, ეროვნული თემატიკის მნიშვნელობის, ტიპურობის საკითხებზე, მთარგმნელობითი მუშაობის პრინციპებზე.

ნ. ბერძნიშვილის შეფასებით, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა შედარებით ღარიბია, რაშიც დამნაშავე საქართველოს პოლიტიკური ბედი და თვითონ საზოგადოებაა. მისი აზრით, ლიტერატურა გაფურჩქნული იყო თამარის მეფობის პერიოდში, ლიტერატურის კორიფეებად კი რუსთაველს, ჩახრუხაძესა და სარგის თმოგველს გვისახელებს. თამარის მმართველობის შემდეგ 5 საუკუნე მტრებს ებრძოდა ქართველი ერი, ხოლო მეთვრამეტე საუკუნეში ვახტანგისა და თეიმურაზის მეფობის დროს ლიტერატურამ აღორძინება დაიწყო. ამ პერიოდში შეიქმნა სტამბა, თუმცა, როგორც ვიცით ამ უკანასკნელმა მცირე ხნით იარსება. ალა-მაჰმად-ხანის შემოსევისას ის განჯასა და ქალაქ გორში გაიტანეს, 1804 წელს კი სტამბის ნარჩენები უკან დააბრუნა ციციანოვმა.

ამრიგად, საყვარელ ავტორთა წიგნები ხალხისათვის ხელმისაწვდომი არ იყო. ხელნაწერებად არსებულნი ისინი იშვიათობას წარმოადგენდნენ და მხოლოდ მაღალ წოდებას მიუწვდებოდა ხელი. ხალხში განვითარებული იყო ცნობისმოყვარეობა, სურვილი მშობლიური მწერლების შესწავლისა, მაგრამ ცნობისმოყვარეობა დაუკმაყოფილებელი რჩებოდა (ხუციშვილი, 1954: გვ. 66).

ჟურნალ „ცისკარში“ დაბეჭდილი სტატიებისა და ზოგადად XIX საუკუნეში არსებული ლიტერატურული ნაწარმოებების მიხედვით, ნ. ბერძენიშვილი ქართული ლიტერატურა შემდეგნაირად შეაფასა: „ქართული ლიტერატურა, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ისეთი სტატიაა, რომელიც რამდენიმე რჩეულმა სპეციალისტმა იცის, როგორც

მაგ. მ. ი. ბროსეა და სხვა რამდენიმე, ცოტათ თუ ბევრად ამ საგნის მცნობი“ (ხუციშვილი, 1954: გვ. 65).

ნიკოლოზ ბერძნიშვილი იყო ილია ჭავჭავაძის ლირიკის პირველი შემფასებელი, 1857 წელს გაზეთ „კავკაზში“ სტატია დაბეჭდა სათაურით - „რამდენიმე სიტყვა ქართული ლიტერატურის შესახებ (ქართული ლიტერატურული ჟურნალის „ცისკრის“ პირველი წიგნაკის გამოცემის გამო).“ (ჯოლოგუა, 2013: გვ. 83-8 კრიტიკოსს მოსწონს ილია ჭავჭავაძის ლექსი „ჩიტი“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“. ხმოვანებისა და ბუნების უმწიკლო სიწმინდის აღწერის გამო მას დადებითად აფასებს.

ზემოთ ნახსენები წერილიდან ბერძენოვი ურჩევს რედაქტორს, დაბეჭდოს ისეთი პოეტების ლექსები, როგორებიც არიან: ალ. ჭავჭავაძე, ორბელიანი, ერისთავი და ა.შ. პოეტების ლექსები, რომლებიც ხელნაწერი სახითაა, თუმცა პოპულარობით სარგებლობენ.

საინტერესოა, ზემოთ ნახსენებ წერილში, ჟურნალ „ცისკრის“ მესამე განყოფილების - „ჰსწავლა და ხელოვნება“ - ნიკოლოზ ბერძნიშვილისეული განხილვა, სადაც განიხილავს „მოთქმით ტირილი საქართველოს მეფისა ღერკულეს ნეტარების ღირსისა“ , XVIII საუკუნის ძეგლი, რომელსაც „ცისკრის“ რედაქციამ წინასიტყვაობა არ დაურთო. კრიტიკოსი ამის გამო საყვედურობს მათ. მისი აზრით, წინასიტყვაობის დართვით მკითხველის თვალში წერილი მოიგებდა. „საჭირო იყო ახსნა, თუ ვინ იგულისხმება ჰერკულესად და თქმულიყო რამდენიმე სიტყვა თხზულების ავტორის შესახებ, რომელიც თავის თავს სოლომონ მსაჯულს უწოდებს. მასში კი ლაპარაკია მეფე ირაკლი მეორეზე, მის სამხედრო სიმამაცეზე, რის გამოც თანამედროვეებმა მას ქართველი ჰერკულესი უწოდეს“ (ხუციშვილი, 1954: გვ. 68). ნიკოლოზ ბერძენოვი მოკლედ განიხილავს ნაწარმოების შინაარსს. ყურადღების მიღმა არ რჩება მასში ნახსენები ფრიდრიხ დიდის წერილობითი შეფასება მეფე ირაკლისა: „ევროპაში მე ვარო და აზიაში ღერკულეს უძლეველი საქართველოს გიორგიანთ მეფეო“. როგორც ვხედავთ კრიტიკოსი ამაცობს ამ ფრაზის შინაარსით. აქვე აღვნიშნავთ, იმასაც რომ აღნიშნული ნაწარმოები

არც XIX საუკუნეში ყოფილა პოპულარული და სამწუხაროდ, დღესაც მხოლოდ ერთეულები თუ დაინტერესდებიან მისით.

საგულისხმოა, რომ „ცისკრის“ თანამშრომლები მეტ დაინტერესებას იჩენდნენ ორთოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და „სამი სტილის თეორიის“ საკითხებისადმი, ვიდრე ლიტერატურული მოვლენებისადმი. მაგრამ ეს არც შემთხვევითია - კონსერვატორულ-ლიბერალური ბანაკი დარწმუნებულია, რომ ენა არ ვითარდება, იგი უცვლელია (აბზიანიძე, 1969: გვ. 352)

ამიტომ ისინი ფხიზლობენ და მტრულად ხვდებიან არამარტო სამწერლო ენის სასაუბრო-ხალხურ ენასთან დაახლოების ყოველგვარ ცდას, არამედ მკაცრად იბრძვიან ახალი სიტყვებისა და ახალი ცნებების შემოტანის წინააღმდეგაც. მათთვის მიუღებელია ისეთი ახალი სიტყვები, როგორცაა „ჟურნალი“ და „რედაქტორი“, მიუღებელია, აგრეთვე, ყოველგვარი ორთოგრაფიული ცვლილება, რომელიც ხალხურ მეტყველებას ეყრდნობა. საერთოდ, ისინი დიდ ერთგულებას ამჟღავნებენ ანტონ კათალიკოსის გრამატიკული კატეგორიებისადმი (აბზიანიძე, 1969: გვ. 297).

„ცისკრის“ მყუდროება კვლავ ნ. ბერძნიშვილმა დაარღვია. ამჯერად მან „კავკაზის“ ფურცლებზე გაარჩია „ცისკრის“ 1858 წლის ნომრები. მართალია, იგი შეცდომას უშვებდა და სკეპტიკურად იყო განწყობილი „ცისკრის“ მხატვრული პროდუქციისადმი, მაგრამ, საერთოდ მის კრიტიკას უთუოდ დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. „ცისკრის“ რედაქციას ამის შემდეგ მეტი პასუხისმგებლობა უნდა ეგრძნო, მეტად უნდა ეზრუნა ჟურნალის გაუმჯობესებისათვის. რედაქტორის ხშირ-ხშირი მობოდიშებას მკითხველისადმი, ჟურნალის ნაკლოვანებათა გამო, არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა ლიტერატურული საზოგადოება (აბზიანიძე, 1969: გვ. 297).

ჩვენთვის მნიშვნელოვანია ნიკოლოზ ბერძნიშვილის, როგორც ლიტერატურისმცოდნე კრიტიკოსის ნააზრევი. ყურადღების მიღმა არ უნდა დავტოვოთ მისი შეხედულებები მხატვრული პროზისა და პოეზიის თანაფარდობის შესახებ

4.1 მხატვრული პროზისა და პოეზიის თანაფარდობის შესახებ

მხატვრული პროზისა და პოეზიის თანაფარდობას ეხება ნიკოლოზ ბერძნიშვილის წერილი, „ქართული ლიტერატურა - ჟურნალ „ცისკრის“ 1858 წლის 12 წიგნაკის - იანვრიდან დეკემბრამდე, - გაკვრით მიმოხილვა“. დაიბეჭდა ჟურნალ „კავკაზში“, 1859 წელს. ნიკოლოზ ბერძნიშვილის შეხედულებით ლიტერატურული ნაწარმოებები გამოხატავენ სურვილსა და იმედებს საზოგადოების წარმომადგენელი მოაზროვნეებისა, მისი გონების საზომად არიან დანიშნული.

ნიკოლოზ ბერძნიშვილი „ცისკრის“ 1858 წელს გამოცემულ ნომრებს შემდეგი სტატისტიკის მიხედვით აჯამებს: ლექსი - 57, პროზაული წერილი - 25, ისიც მეტწილად თარგმნილი და მცირე. თუმცა, წერილიდან ვიგებთ, თუ რატომ განიცდის ქართული მწერლობა პროზის ნაკლებობას და პოეზიის სიმრავლეს. წერილის ავტორი სინანულით აღნიშნავს ამ სხვაობას დაბეჭდილ ლექსებსა და პროზაულ ნაწარმოებებს შორის, „რატომაა ამდენი მსურველი აჯილდოვონ ქართული ჟურნალი, ვით სიუხვის ყანწიდან, ლექსებით და ასე ცოტაა თანამშრომლები პროზის დარგში?“ მითუმეტეს რომ რედაქტორი ყველა ლექსს არ ბეჭდავს. ამ კითხვას ისევ ბერძნიშვილი პასუხობს - ქართველ ერში ბევრი ბატონი არსებულა, რომლებიც თავიანთ პოეტურ ნიჭში არიან დარწმუნებულნი, წერენ გამართულ ლექსებს, თუმცა აზრის პროზით გამოთქმა არ შეუძლიათ, გამოუვათ „გაჭიანურებული, ხშირად უწიგნური, ეგრეთ წოდებული - საბაზრო რამ. ეს არ ეხება, რასაკვირველია, ორიოდ-სამ ნამდვილად ნიჭიერ წარმომადგენელს თანამედროვე ქართული ლიტერატურისა (ხუციშვილი, 1954: გვ. 116). სამაგიეროდ ნებისმიერ უწიგნურს, წერა-კითხვის უცოდინარს შეუძლია შეუსვენებლად გამოთქვას ექსპრომტი, შაირი, სიმღერა ნებისმიერ საგანზე, „მაგრამ საეჭვოა აზრიანად მოახსენოს უბნის მსაჯულს საჩივარი, რითმებისა და გალობის გარეშე, მოპარული ხარისა თუ ნაცვალი ბოროტმოქმედების შესახებ. ამისგან დამოუკიდებლად, თბილისში დროდადრო აღმოცენდება განსაკუთრებული სახის სალექსო ლიტერატურა, რომელიც თავისი არსებობის შესახებ ხელნაწერი რვეულებით ან ცალკე ფურცლებით მორიდებულად გამოაცხადებს ხოლმე; რვეულები ხელიდან ხელში გადადის ხოლმე და მრავალთა მიერ გულისხმიერებით იკითხება. ამ ლიტერატურას ჩვენ ვარქმევთ

საბაზროს, რადგან მის თემად, თითქმის ყოველთვის გამოყენებულია ადგილობრივი სავაჭრო ყოფის მოვლენები“ (ხუციშვილი, 1954: გვ. 116).

პოეზია ცოტათ თუ ბევრად, მარჯვე ლექსთა თქმის აზრით, ჯერ კიდევ ჩვენი ლიტერატურის მიუცილებელ ფიზიოლოგიურ თავისებურობას შეადგენს და ამ თვალსაზრისით კრიტიკას არ შეუძლია დასცინოს მას, რადგან ის პოეზია ხარკს უხდის თავისი ქვეყნის ბუნებას, ხარკს, რომელიც სამხრეთის თითქმის ყველა ქვეყანას ახასიათებს (ხუციშვილი, 1954: გვ. 117). აღმოსავლური პოეზიის წარმომადგენლებთან ასახელებს ფირდოუსს, ჰაფიზსა და საადისს. მათ შორის კი უპირატესობას ჰაფიზს ანიჭებს, რომელსაც პირწავარდნილ მატერიალისტად, ვარდისა და ბულბულის, სხეულისა და ღვინის გამაღმერთებლად ასახელებს. თუმცა აქვე დასძენს, რომ არც ის გადის იოლად, „სიტყვის კეთილსურნელოვანი ყვავილებისა და მნიშვნელობათა და ჰიპერბოლათა უძვირფასესი აღმასების“ გარეშე, როგორც შეჰფერის ნამდვილ „შაქარპირა თუთიყუშს“ (ხუციშვილი, 1954: გვ. 117).

როგორც ვხედავთ, ნიკოლოზ ბერძნიშვილი კარგად იცნობს როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ ლიტერატურას, რაც ხაზს უსვამს მის განათლებასა და ფართო მსოფლმხედველობას.

ავტორს პოეზიის დახასიათებისთვის მოჰყავს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი-დან“ 19-25 სტროფები, სადაც პოეტმა ნათლად გამოხატა ჭეშმარიტი პოეზიის მნიშვნელობა.

ბერძნიშვილი აღტაცებით საუბრობს ჟურნალ „ცისკრის“ პირველ ნომერში გამოქვეყნებულ ლექსზე, რომლის ავტორიც ქალია, ჯანდიეროვი - „მდურუა კაკვაზიის მთისა“.

ნიკოლოზ ბერძნიშვილი ყურადღებას ამახვილებს „ანბანთ-ქებაზე“, რაც ქართული ლიტერატურის სიძველეს გვაგონებს, როცა სქოლასტიციზმი იყო გამეფებული, და როცა ჩვენი მწრლები, თუ მაინცდამაინც არა ხელოვნურ გადმოცემას, დიდ მნიშვნელობას მაინც აკუთვნებდნენ აკროსტიხებს, რასაკვირველია, ტაეპთა წყობის წესების მკაცრი დაცვით (ხუციშვილი, 1954: გვ. 117). ანბანთ-ქება ესაა იმდენი ლექსი, რამდენიც ასოა ქართულში და თითოეული ლექსი აუცილებლად იწყება ამ ასოთი.

ზემოთ მოყვანილი წერილით ბერძენოვი დიმ. ბაგრატიონს პოეტად მოიხსენიებს, რომელმაც წმ. ქეთევან დედოფლის წამება ლექსად აღწერა.

ნიკოლოზ ბერძნიშვილი მეორე ჟურნალის ორიგინალურ ლექსთაგან ასახელებს: „ლაშქრობა ქართველთა კავკასზე“, „გალობა სიტურფისა“ და „ჩვილი“, ნიკოლოზ ბარათაშვილისა, სადაც ბარათაშვილს უზადო ნიჭის მქონე ქართველ პოეტთა მცირერიცხოვანი ოჯახის წევრად ასახელებს. ნაადრევ სიკვდილს რომ არ მოეტაცა, მრავალ ჭეშმარიტ პოეტურ თხზულებას შექმნიდა. „ერთი სიტყვით, ბარათაშვილმა დატოვა რამდენიმე წვრილი ლექსი, რომელთა მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ მისი ნიჭი ატარებდა ბეჭედს იმ გაცრუებისა და უკმაყოფილებისა, იმ უსიხარულო მელანქოლიისა, რომელნიც ანსხვავებდნენ ლერმონტოვის და ბაირონის სკოლის სხვა მიმდევრების პოეზიას. მაგრამ წაიკითხეთ მისი პოემა „ბედი ქართლისა“ და თქვენ სრულიად დარწმუნდებით განსვენებული ბარათაშვილის ნამდვილ მოწოდებაში“ (ხუციშვილი, 1954: გვ. 120).

ბარათაშვილი საუბრობს „ბედი ქართლისას“ შინაარსზე. პოემის საფუძველში ხედავს საქართველოს, როგორც ცალკე სამეფო ისტორიის უკანასკნელ მომენტს, მოხუცებულ ერეკლე მეფეს, რომელიც ლოცულობს ალა-მაჰმად-ხანის მოლოდინში. ომმა უნდა გადაწყვიტოს საქართველოს ბედი, მაგრამ „იგი უკვე გადაწყვეტილია მეფის გულში“, „თავისიანების წყალობით სატახტო ქალაქის დამკარგველი, ნაღველით შეწუხებული უმხელს მას აღქმულ საიდუმლოს-სურვილს, საბოლოოდ გადასცეს თავისი დაჩაგრული სამეფო დიდი ჩრდილოეთის მპყრობლობას საფარს ქვეშ, რომელიც დიდი ხანია საქართველოს მფარველობს და მასთან სარწმუნოებრივ ერთიანობაში იმყოფება (ხუციშვილი, 1954: გვ. 121). როგორც ვხედავთ, ნიკოლოზ ბერძნიშვილი კარგად იცნობს ქართულ ლიტერატურას და შესანიშნავ შეფასებებს გვაძლევს ქართველი პოეტის შედეგებზე.

1858 წლის ცისკრის მესამე და მეოთხე ნომრებში გამოქვეყნებული სტატიებიდან ნიკოლოზ ბერძნიშვილი ყურადღებას ამახვილებს ძველი პოეტის, ბესარიონ გაბაშვილის ლექსებზე, რომელთაც „მუსტაზადები“ და „ბაიათები“ ჰქვიათ. კრიტიკოსი ამ

სახელწოდებებს აღმოსავლურს უწოდებს და განმარტავს არა თხზულების, არამედ საქეიფო სიმღერათა გვარად.

გაბაშვილის ლექსების ანაკრეონტულად მიჩნევას არასწორს უწოდებს, რადგან „ანაკრეონის ლექსებში მეტია სინამდვილე, რომ არა ვთქვათ მგრძნობელობა, მათში ცოცხლად გამოსჭვივის პლასტიკა, ღვინის შხეფები ცვივა; ჩვენს პოეტში კი ჭარბობს განყენებულება, გრძნობა უფრო თავმოყრილია და სასიყვარულო ნაღველით არის გაჟღენთილი. მოკლედ, ეს ის „მოქვითინე, ყრუ, მლოცავი, ველური ყვირილია“, რომელიც ასე კარგად გამოხატა პოლინსკიმ ერთ თავის კავკასიურ ლექსში“ (ხუციშვილი, 1954: გვ. 121). რაც შეეხება გაბაშვილის ფორმასა და ჰარმონიას, ბერძენოვი ორიგინალურს უწოდებს, რითაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბერძნიშვილი კარგად ერკვევა ლიტერატურის თეორიის საკითხებში.

არ შეიძლება აქვე არ აღვნიშნოთ ბესარიონ გაბაშვილის შემოქმედების აკაკი წერეთლისეული შეფასება. ნაშრომში, „რამოდენიმე სიტყვა „ჩუნგურის“ შესახებ“, იგი ბესარიონ გაბაშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის იმ შემოქმედების შესახებ საუბრობს, რომელიც ჟურნალ „ცისკარში“ 1865 წლის სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა.

აღნიშნული წერილით აკაკი წერეთელი ილია ჭავჭავაძეს და ნიკოლოზ ბარათაშვილს ერთ ტახტზე მსხომად მოიხსენიებს: „...დიახ, ჩემო ბატონო! ეგ თქუენი ნაქები და შემკული ბარათაშვილი და ჭავჭავაძე, სწორედ ერთს ტახტზედ სხდომის ღირსები არიან, ერთგვარი დამსახურება აქუსთ ჩუენს ლიტერატურაში, ერთ გვარად დაუვიწყრები არიან, ერთ გაუწყვეტელის ჯაჭვით გადაბმულები ერთი მეორეზედ; ერთის უმეორესით გაგება ძნელია! ერთის სიტყვით, ეგენი არიან მოსე და აარონი ჩუენის ლიტერატურისა“ (ხუციშვილი, 1954: გვ. 395).

აკაკი წერეთელი ილიასა და ბარათაშვილის ლექსებამდე ასახელებს ბესიკის შემოქმედებას, რაც, ყველას უნდა სცოდნოდ. „ბატონო მკითხელო, მეც წამიკითხავს ძველი წიგნები, ვყოფილვარ საქართველოში და არ თუ გამიგონია ბესიკისა და მისი ჰამქრების თხზული ლექსები, კიდევაც მე თვითონ მიღიღინებია. დრო იყო, რომ მის „ტანო-ტატანო“, „შავნი-შაშვნი“ და „სევდის ბაღს შეველ“ ალტაცებაში მოვჰყავდი ხოლმე

და ახლა, ვერ დავფარამ მე, რომ ეს ლექსები მოცლილ კაცის სასმენელს ატკბობენ ხოლმე, ისე გარმონიულად არიან დაწერილი“ (ხუციშვილი, 1954: გვ. 395).

როგორც ვხედავთ, ძველი მწერლის, ბესარიონ გაბაშვილის შემოქმედებას აკაკი წერეთელიც ჰარმონიულს უწოდებს, თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ აკაკიმ 1865 წელს ისაუბრა პოეტზე, ხოლო ნიკოლოზ ბერძნიშვილმა ჯერ კიდევ 6 წლით ადრე გაახსენა საზოგადოებას ბესიკის პოეზია.

ბერძნიშვილს არ გამორჩენია ჟურნალ „ცისკრის“ მე-10 ჟურნალში დაბეჭდილი „იარალისადმი“, რომელზედაც აღტაცებით საუბრობს, „ვისაც სურს გაეცნოს ქართული მუზის ფერადოვნების საუკეთესო გამოძახილს, მას ვურჩევთ მიაქციოს ყურადღება ამ თხზულებას. მაგრამ, რას ვამბობ? არა მხოლოდ ყურადღება, არამედ აღტაცებაც გაუჩნდება თავისთავად მას, ვინც ერთხელ მაინც წაიკითხავს ამ შეუდარებელ მელოდიას“ (ხუციშვილი, 1954: გვ. 122).

ბერძნიშვილი სინანულით აღნიშნავს, რომ ქართული ლიტერატურა განიცდის დრამატული ნაწარმოებების სიმცირეს. იქვე შენიშნავს, რომ საკუთრივ დრამა ჩვენს ენაზე არ გაჩენილა 1858 წლამდე, რაც შეეხება გიორგი ერისთავს, მართალია, პირველმა დაიწყო სასცენო პიესების წერა, თუმცა ეს იყო ამ დარგის რეპერტუარის ცდები კომედიებისა. ერისთავის შემდეგ ამ დარგში გამოჩნდა ანტონოვი, რომელსაც მიზნად ჰქონდა პროტოტიპის მიმბაძველი ყოფილიყო, მაისუროვი - ახალი ელემენტები შეიტანა თავის სასცენო ცდებში, კერესელიძე - ხუთმოქმედებიანი დრამის შემთხვეული.

ბერძნიშვილის მსჯელობას პროზისა და პოეზიის თანაფარდობის თემაზე ლავრენტი არდაზიანი გამოეხმაურა, რომელმაც ნიკოლოზ ბერძნიშვილის წერილის საპასუხოდ „ცისკარში“, 1859 წელის სექტემბრის ნომერში წერილი დაბეჭდა სათაურით - „Беглый обзор 12 книжек журнала "Заря" с января по ноября 1858.г.“.

ზემოთ მოყვანილი ცხადყოფს, რომ ამ მეტად საინტერესო საკითხის ასე საგუდაგულო განხილვა სწორედ ნიკოლოზ ბერძნიშვილის დამსახურებაა. მართლაც, თუ გადავხედავთ მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობას, დავინახავთ, რომ პოეზია მოცულობით აჭარბებს პროზას. საინტერესოა, როგორ ესმოდათ ამ მოვლენის მიზეზები ამავე საუკუნის მოღვაწეთ.

ლავრენტი არდაზიანი მუდმივი ოპონენტია ნიკოლოზ ბერძნიშვილის ლიტერატურულ-კრიტიკული შეხედულებებისა, თუმცა 1859 წლის სექტემბრის ნომერში დაბეჭდილი წერილით, „Беглый обзор 12 книжек журнала "Заря" с января по ноябрь 1858 г.“, ამჯერად ეთანხმება მას - ქართული პოეზია უფრო განვითარებულია, ვინემ პროზა.

რატომ არის პროზაული ნაწარმოებები უფრო იშვიათი?! სვამს არდაზიანი კითხვას და ცდილობს თვითონვე გასცეს პასუხი; იგი ენის ორგვარ ფორმას გამოყოფს: საღმრთო წერილის და საეროს (სახალხო); საღმრთო წერილის ფორმას ბერძნული ენიდან სიტყვა-სიტყვით გადმოღებულად მიიჩნევს „ამიტომ, რომ არ შეიძლებოდა ნებსითი თარგმანი ღუთის სიტყვისა. ამასობაში კი შიგადაშიგ შემოგვეპარა რომლიმე ფორმაცა ბერძნულის ენისა“. უკანასკნელ საუკუნეებში მრავალნი ერისგანნი სწერდნენ უფრო საღმრთო წერილის ფორმით, და მცირე ოდენ, ისიც მელექსენი, საეროს ენით. მოლექსენი არ მოწყვეტილან და ეს არის მიზეზი, რომ ჩუჭნი პოეზია უფრო განვითარებულია, მინამ პროზა (ხუციშვილი, 1954: გვ. 140).

„...ეხლანდელი ყმაწვილი კაცები ორ წყალ შუა არიან, იმათ არ იციან რომლის ენით სწერონ: საღმრთო წიგნურის ფორმით, თუ შეჰქმნან პროზა საერთო ენაზე. ჰგრძნობენ საღმრთო წიგნიერის ენის სიმძიმესა და ურგებლობასა, და მასთანავე, შიშობენ წერასა საეროს ენის ფორმით, ამიტომაცაა ეგრე რიგათ არავინ ჰსწერს პროზით, და ვინცა რა დასწერა სულ სხუა და სხუა ენით. მაგ: „ზვმა“ დაწერილია ეხლანდელ წმინდა ქართულს (საერო) ენით. „უსარგებლო ცხოვრება“ ციციშვილისა - სამღთო წიგნურის ენით“ (ხუციშვილი, 1954: გვ. 140). არდაზიანი წერილში შენიშნავს, რომ პროზა უნდა დაიწეროს საერო ენაზე, საღმრთო ენაზე დაწერილი წინ ვერ წავა, ამიტომაც საჭიროა პროზაცა და პოეზიაც იწერებოდეს ერთი ენით.

პროზისა და პოეზიის თანაფარდობის პრობლემის განხილვაში ივანე კერესელიძეც ჩაერთო. მისი წერილი, დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკრის“ 1860 წლის თებერვლის ნომერში, სათაურით „რედაქციისგან - ივანე კერესელიძის სტატია“, ჩემი აზრით, იმითაა განსაკუთრებული, რომ მასში ძალიან სადად და მიმზიდველადაა

განმარტებული ორივე ფორმა სიტყვიერი ხელოვნებისა: პროზაცა და პოეზიაც; მოვიტანთ ამონარიდს წერილიდან:

„...ლიტერატურა, ჩუწნებურად რომა ვჰსთქუთ, მწიგნობრობასა ჰქჷა და, სადაც კი წერა-კითხუა ქუწყანაში გავრცელებული არის სადმე, იქ ეს მწიგნობრობა, ან ლიტერატურა, ყოველგვარ ორ დიდ ნაწილად განიყოფება: ერთსა ჰქჷა პროზა, მეორეს პოეზია.... ..პოეზია საზოგადოდ იმას ჰქჷა, რაც ამაღლებულს გრძნობას გამოსთქუამს, აღმტაცებელს რასმე აზრსა, ან სულის გამამხნეველსა ან დამატკობელს მოფიქრებასა, თუ ოცნებას რასმე. პოეზიის საგანი შეიძლება პროზიტაც დაიწერებოდეს; მაგრამ დასაკუთრებული თჷსება პოეზიისა უფრო წყობილი ლექსით წერა არის, ან ისევ ბერძნულათა ვსთქუთ, სტიხების წერა; და ამ მიზეზით პოეტისათჷს უმთავრესი კანონი ის არის, რომ იმისი აზრის გამოთქმა ზომით იყოს დაწყობილი, მშუწნიერის სიტყვებისა და სმენის დამატკობელათა. პროზათ წერა ყველა მწიგნობარს შეუძლია; ლექსებით წერა, სტიხებით გამოთქმა აზრისა, შეუძლია მხოლოდ პოეტსა და, ვისაც ბუნებით ნიჭი აქუს, პოეტობას ისე ვერ დაიჩემებს, როგორც კარგს მხატვრობას, ან კარგს საკრავის დაკურასა, - თუ ნიჭიერი არ არის და ცოდნაც არა აქუს ნიჭის შესაბამისი (ხუციშვილი, 1954: გვ. 153).

ნიკოლოზ ბერძნიშვილი ჟურნალ „ცისკარში“ დაბეჭდილ ლექსებს შემდეგნაირად აფასებს: „საერთოდ, „ცისკრის“ თითოეული ნომრის ლექსთა განყოფილება სრულიად დამაკმაყოფილებელია მკითხველებისათვის ცოტათ თუ ბევრად შესანიშნავი ნაწარმოებების მთელი წყების მიწოდებით“ (ხუციშვილი, 1954: გვ. 99).

როგორც ვხედავთ, XIX საუკუნის ქართულ საზოგადოებაში პოეზია უფრო გავრცელებული იყო, ვიდრე პროზა. ვფიქრობ, დღესდღეობით პროზაც და პოეზიაც თანაბრადაა გავრცელებული საზოგადოებაში, გვყავს ბევრი ლიტერატორი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, რომელთა ნაშრომების საზოგადოებაში გავრცელების პრობლემა აღარ არსებობს. ინეტერნეტი და თანამედროვე ტექნოლოგიები მათი შემოქმედების გაცნობის, შესწავლისა და შეფასების საშუალებას გვაძლევს.

4.2 სასულიერო განათლება, როგორც ქართველთა განათლების ქვაკუთხედი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნიკოლოზ ბერძნიშვილმა 1859 წელს გაზეთ „კავკაზში“ 42, 43, 49 და 50 ნომრებში დაბეჭდა სტატია „ჟურნალ „ცისკრის“ 1858 წლის 12 წიგნაკის - იანვრიდან დეკემბრამდე - გაკვრით მიმოხილვა“, სადაც ჟურნალ „ცისკრის“ მთელი წლის შრომა შეაჯამა. აღნიშნულ სტატიაში ბერძენოვი ყურადღებას ამახვილებს ქართულ ენის წარმოშობასა და განთლების საკითხზეც.

ჩვენი აზრით, ენა ჩნდება შუმჩნეველი თანდათანობით, ადამიანის სიტყვის გარდაუვალი კანონების ძალით, ხალხის რაიმე წინასწარ განზრახული მონაწილეობის გარეშე (ხუციშვილი, 1954: გვ. 124).

ბერძნიშვილი ქართული კულტურის განვითარებას ქრისტიანობას უკავშირებს. მისი აზრით, „ჩვენში, საქართველოს გონებრივი განვითარება დაიწყო ქრისტიანობის დამყარების შემდეგ, არამცდარამც ქრისტიანობის დამყარებამდე. სწორედ ქრისტიანობის დამყარების შემდეგ ჩნდება ჩვენში პირველი ქართული ძეგლები. პირველ ლიტერატურულ ნაშრომებად ქართულ ენაზე თარგმანებს - საღმრთო სჯულსა და წმ. მამათა წიგნებს ასახელებს“ (ხუციშვილი, 1954: გვ. 425).

პირველი უტყუარი ცნობა ქართული საქრისტიანო ლიტერატურული ძეგლების არსებობის შესახებ მეხუთე საუკუნეს ეკუთვნის. მემატიანე მოგვითხრობს, რომ არჩილ მეფის (422-432წწ.) შვილის, მირდატის, მეუღლემ „საგდუხტ დედოფალმან გამოიკითხა სჯული ქრისტესი. რამეთუ ქმარმან მისმან მოგუარნა კაცნი სჯულის მეცნიერნი და უთარგმნეს სახარება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესიო“, უთარგმნეს, იგულისხმება, ან ქართულად, ან ქართულიდან. იგვე მემატიანე მოგვითხრობს შემდეგ იმასაც, რომ არჩილ მეფეს ეპისკოპოსად დაუსვამს ვინმე მობიდან, რომელიც, თურმე „ფარულად სწერდა წიგნებსა ყოვლისა საცთურებისასა“. წერდა, რასაკვირველია, ქართულად, ვინაიდან მისი მიზანიყო გავრცელება მაცთური მოძღვრებისა თავის სამწყოსში - ქართველთა შორის აქედან, მაშასადამე, გასაკვირი არაა, რომ მეხუთე საუკუნის ოთხმოციანი წლების დამდეგს ქართულ ენაზე დაწერილია ისეთი ორიგინალური თხზულება, როგორიცაა „შუმანიკის მარტვილობა“ იაკობ ცურტაველისა. (კეკელიძე, 1980)

ამრიგად, სასულიერო ლიტერატურა ქართველთა განათლების ქვაკუთხედად იხსენიება. სამღვდელოების წარმომადგენელი, მწყემსნი და ეკლესიის მასწავლებელი, არიან პირველარსებული ბელადები ცოდნისა და განათლებისა, მათ შეაქვთ სულიერი სიბრძნე ხალხის ცხოვრებაში და აქცევენ მას გაბატონებულ ელემენტად, რომელთა რიგში იმ დროის გაგებით, ფასს ჰკარგავს სხვა ყოველი ცოდნა, გამომდინარე ცდუნების დაქვემდებარებული ადამიანის გონებიდან. (ხუციშვილი, 1954: გვ. 124)

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნიკოლოზ ბერძნიშვილის წერილს გამოეხმაურა ლავრენტი არდაზიანი წერილით, „Беглый обзор 12 книжек журнала "Заря" с января по декабря 1858 г.“. წერილიდან ჩანს, რომ ლავრენტი არდაზიანი არ ეთანხმება ბერძენოვს, ქართული მწერლობის წარმოშობის საკითხში, მისი აზრით, ქართველებს ლიტერატურა ქრისტეშობამდეც გვქონდა, რასაც, მართალია ვერ ადასტურებს, თუმცა, ამბობს რომ თუ „საქართველოს არა ჰქონებოდა განვითარებული ლიტერატურა, ვერცადა ასე მშუჭნიერის, დაწმენდილის ნასწავლის ენით გადმოიღებნენ საღმთო წერილსა ქართულ ენაზე. (ხუციშვილი, 1954: გვ. 138) მეორე მხრივ იზიარებს ბერძენი ისტორიკოსების ვარაუდს, რომ ძუჭლნი საბერძნეთის ისტორიკოსნი დაგვარწმუნებენ, რომ ქართველებს ჰქონიათ ბერძენთან მიწერ-მოწერა და წასულა-მოსულა (ხუციშვილი, 1954: გვ. 124).

1859 წლის ჟურნალ „ცისკრის“ ნოემბრის ნომერში, სათაურით, „პასუხისგება უ. არდაზიანის კრიტიკაზე“, ზემოთ ნახსენებ თემასთან დაკავშირებით არდაზიანს კვლავ გამოეხმაურა ნიკოლოზ ბერძნიშვილი. ის კვლავ იმ აზრზეა, რომ ქართული ლიტერატურა ქრისტეშობის შემდეგ წარმოიშვა. რაც შეეხება არდაზიანის მსჯელობას, ქართული ლიტერატურა ასეთი მშვენიერი და დაწმენდილი არ იქნებოდა მანამდე რომ ლიტერატურა არ ჰქონოდა, მოჰყავს შემდეგი დებულება: „...საღმთო წერილის გადმოღებაში ჰსწარმოებდა არა კაცობრივი ჰსწავლა, არამედ უპირატესად უზენაესი მადლი, რომელიცა შეიქმს არა რაღასაგან და გამოცხადდების საკვრველებათა მიერ. მოიგონეთ, რომ ჩვენ ენაზედ საღმთო წერილი გადმოუთარგმნიათ წმინდათა მამათა, სახლდობრ: გიორგი და ეფთიმე მთაწმინდელთა (ხუციშვილი, 1954: გვ. 146)

ბერძენოვი უშვებს გამონაკლისს წარმართულ-კლასიკური სიძველის ზოგიერთი ავტორის მიმართ, მაგრამ ისეთთა, რომელნიც წერდნენ „თხრობით ან ზნეობით სწავლის გვარზე“. ავტორი, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს იმ მწერლებს, რომლებიც წერდნენ წარმართულ სანახაობებზე, რამაცც მკითხველში არა მხოლოდ სიტყვა, არამედ მოქმედებაც გამოიწვია. სწორედ ამიტომაცაა, რომ ქართველები იცნობენ ჰეროდოტეს, კვინტ-კურციუსს და სხვებს.

საქართველოში საერო ლიტერატურას საფუძველი ჩაუყარეს გონებრივ დამოუკიდებლობას მიღწეულმა მწერლებმა. ბერძენოვის აზრით, მათი მოღვაწეობა ვერ გამოვიდოდა როგორც მოჯადოებული წრიდან, ერთხელ შეთვისებული თხრობითი გვარიდან. ამის შედეგია ორი, სამი საგმირო რომანი პროზაში, ამდენივე პოემა და აპოლოგია ლექსად და სხვა არაფერი. არ ვლაპარაკობ „ვეფხისტყაოსანზე“ და იმ დევნაზე, რომელიც განიცადა მან სხვადასხვა დროს; შევნიშნავ მხოლოდ, რომ ამ პოემაშიც კი კომენტატორებმა სცადეს გამოეძებნათ სულიერი მნიშვნელობა და ბევრი მისი ადგილისა და პიროვნებისათვის მოერგოთ სამღვთო სჯულის ტექსტები (ხუციშვილი, 1954: გვ. 125).

როგორც ვხედავთ, ბერძენოვი ქართული ლიტერატურის დასაბამს სასულიერო მწერლობაში ხედავს, რასც არ შეიძლება არ დავეთანხმოთ. სასულიერო პირები იყვნენ პირველი განათლებული ადამიანები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ სხვების ზნეობრივ-კულტურულ პიროვნებად ჩამოყალიბებაში, ამის მაგალითად არაერთი გამოჩენილი ქართველი მოღვაწე შეგვიძლია დავასახელოთ, ვისაც ბავშვობიდან სწავლისადმი სიყვარული სასულიერო პირებმა ჩაუნერგეს, მაგალითად, გიორგი წერეთელი, რასაც ვიგებთ ავტობიოგრაფიული ნაწარმოებიდან „ჩემი ცხოვრების ყვავილი“, გრიგოლ ორბელიანი, ვისაც წერა-კითხვა ანჩისხატის დეკანოზმა, განათლებულმა მწიგნობარმა დიმიტრი ალექსი-მესხიშვილმა ასწავლა, კეთილშობილთა საწავლებელში კი მომავალ პოეტს ქართველი მღვდელი ხელაშვილი ასწავლიდა. ილია ჭავჭავაძეს „წერა-კითხვა შეასწავლა სოფლის მთავარდიაკვანმა, კარგმა მოქართულემ და აღმზრდელმა, რომელიც განთქმული იყო საღმრთო წიგნების კითხვით.

მთავარდიაკვანთან ილია სამ წელს სწავლობდა თანასოფლელ გლეხის შვილებთან ერთად (ასათიანი, 1974: გვ. 37).

4.3 XIX საუკუნის ქართული დრამის ბერძენოვისეული შეფასება

საქართველოში 1845 წელს დაარსდა რუსული თეატრი, ხოლო 1850 წელს გიორგი ერისთავის ხელმძღვანელობით აღორძინდა ქართული პროფესიული თეატრი, რის შემდეგაც მაყურებელს საშუალება მიეცა გაცნობოდა ქართველ დრამატურგთა შემოქმედებას. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ საქართველოში ჯერკიდევ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ შიქმნა საეკლესიო თეატრი და დრამა, პარალელურად ვითარდებოდა ხალხური თეატრალური სანახაობები „ბერიკაობა“, „ყეენობა“, ასევე მეთვრამეტე საუკუნეში მეფე ერეკლე მეორის სასახლის კარზე იმართებოდა საერო თეატრალური წარმოდგენები, თუმცა, ქართული თეატრის სახელს გიორგი ერისთავის სახელს და თავის „გაყრას“ ვუკავშირებთ.

1850 წელს იმპერატორისადმი წარდგენილ მოხსენებაში ვორონცოვი ქართული თეატრის შესახებ წერდა: „1850 წელის დასაწყისში თბილისის მაღალი საზოგადოების პირებმა პირველად სცადეს ქართულ ენაზე წარმოდგენის გამართვა. ცდა სრული წარმატებით დამთავრდა და აჩვენა, რომ შესაძლებელია სისტემატურად ეწყობოდეს ქართული სპექტაკლები..“ (აბზიანიძე, 1969: გვ. 295). ვორონცოვი იმედოვნებს, რომ იმპერატორი კეთილ დამოკიდებულებას გამოიჩენს ამ საკითხისადმი, ვინაიდან და რადგანაც ასეთი ღონისძიებით ადილობრივი მცხოვრებლები დაუახლოვდებიან რუსებს.

საგულისხმოა, რომ ქართული თეატრის მუშაობამ, შესაფერი გამოხმაურება პოვა „ცისკრის“ ფურცლებზე. ეს გარემოება, შესაძლებელია, იმითაც იყოს გამოწვეული, რომ, როგორც თეატრს, ისე ჟურნალს გ. ერისთავი ხელმძღვანელობდა, თუმცა, გ. ერისთავის „ცისკარში“ კრიტიკა, ამ სიტყვის მნიშვნელობით, საერთოდ არა გვაქვს (აბზიანიძე, 1969: 295 ტ.III).

80-იანი წლებიდან იწყება ქართული თეატრის აღმავლობა, თუმცა, ქართულ დასს არ ჰქონდა საკუთარი შენობა, რის გამოც წარმოდგენების გამართვა დაქირავებულ დარბაზებში უხდებოდა. აღსანიშნავია, ილია ჭავჭავაძის დაუღალავი შრომა ქართული თეატრის ჩამოყალიბება-განვითარებაში, მისი მეშვეობით საადგილმამულო ბანკი გარკვეულ დახმარებას უწევდა თეატრს. თეატრალური წარმოდგენები ოქტომბერ-ნოემბრეში იწყებოდა და თებერვალში მთავრდებოდა, ხშირად მოგზაურობნენ, როგორც ქვეყნის შიგნით ისე საზღვარ გარეთ, რაც ხშირად ზარალით მთავრდებოდა.

90-იანი წლების ქართულ დრამაში არ ჩანდა იმ დროინდელი ქართველი კაცის გრძნობები და ემოციები, რაც ბუნებრივია ხელს უშლიდა დრამის განვითარებას. ილია ჭავჭავაძის აზრით, დრამის შექმნა ყველა სხვა პოეტურ თხზულებაზე მეტად რთული შესაქმნელია „დრამის შექმნა დიდად ძნელი რამ არის, იმიტომ, რომ დრამა სულისა და გულის ცხოვრებაა, სულისა და გულის დიდ ძვრაზეა ასაგებელი და ასაშენებელი. მეტისმეტად მჭრელი, მეტისმეტად მხილავი ნიჭი უნდა, მეტისმეტი ნათელი გონება, რომ კაცი მისწვდეს, შუქი რამ მოჰფინოს, იმ საოცარს, იმ უცნაურს საიდუმლოებას, რომელსაც ადამიანის სულისა და გულის ძვრა ჰქვია, და რომელიც იმდენად უფრო დიდ საიდუმლოებად გვევლინება, რამდენადაც უფრო ახლოს მიუვალთ, ამიტომ დრამის შექმნა ყველა სხვაგვარ პოეტურ თხზულებაზე ძნელია და ყველა მწერალი, თუნდა ნიჭიერიც, ვერა ჰბედავს ხელი შეჰმართოს (გვერდწითელი, 1982: გვ. 24). ილია ჭავჭავაძე ამ მხრივ იზიარებს ნიკოლოზ ბერძნიშვილის შეხედულებას.

ნიკოლოზ ბერძნიშვილის კარგად ესმის ზოგადად თეატრისა და დრამის მნიშვნელობა, რაც შესანიშნავად ჩანს 1859 წელს გაზეთ „კავკაზში“ დაბეჭდილი სტატიიდან, ავტორი აჯამებს რა 1858 წლის „ცისკარის“ ლიტერატურულ პროდუქციას, აქვე ყურადღებას ამახვილებს ქართულ დრამატურგიაზე.

ბერძენოვი დრამის გაჩენას 1850 წლიდან ათარიღებს, როდესაც გიორგი ერისთავმა დაიწყო სასცენო პიესების წერა და ქართული თეატრის არსებობას საძირკველი მისცა. ბერძენოვი ყურადღებას ამახვილებს თეატრალურის არსებობა მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის.

თავად ერისთავის სასცენო ნაშრომებს შიძლება სანიმუშო ვუწოდოთ; ვიდრე ქართული სცენა არსებობდა, ისინი, ასე ვთქვათ, აცოცხლებდა მას, სცენა იმათით იყო გამაგრებული და ცოცხალი: ეს იყო უეჭვო ნიშანი, რომ ჩვენი პირველი კომიკოსის პიესები პირდაპირ ცხოვრებიდან აღებული იდეით იყო გაჟღენთილი (ხუციშვილი, 1954: გვ. 125).

ნიკოლოზ ბერძნიშვილის არ დავიწყებია ანტონოვი და კერესელიძე. ანტონოვს ერისთავის მიმბაძველს უწოდებს, ხოლო, კერესელიძის შრომებს სურვილს, თავიდანვე სხვა მიმართულება მიეღო და შეეტანა ახალი ელემენტი თავის სასცენო ცდებში. მან მოგვცა ხუთმოქმედებიანი დრამა „შვილი უმანკოებისა“, რომელიც მოთავსებულია 1858 წლის ქართული ჟურნალის პირველ წერილში.

„შვილი უმანკოებისა“ გერმანელი მწერლის ავგუსტ კოცებუს ამავე სახელწოდების თხზულებიდან არის გადმოკეთებული. ივანე კერესელიძე თითქმის ზუსტად მიჰყვება ორიგინალის სიუჟეტურ ხაზს, მაგრამ ამბაფრებს პიესის სოციალურ მხარეს, შეაქვს მასში საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველი სურათები, ცდილობს რეალისტურად დახატოს კოცებუს სენტიმენტალურ გმირთა სახეები. მისი თავადი დიასამიძე, მაგალითად, გაცილებით უფრო მკაცრი და შეუბრალებელია, ვიდრე კოცებუს ბარონ ფონ ნოიჰოფი (აბზიანიძე, 1969: გვ. 355).

საინტერესოა ნიკოლოზ ბერძნიშვილის მიერ კერესელიძის „შვილი უმანკოებისა“-ს შეფასება - ბარაქიან მწერალს მისი დაბეჭდვით მგონი უნდოდა დაემტკიცებინა ის ჭეშმარიტება, რომ ახალ საქმეში ახალი გზის გაკაფვისათვის საჭიროა ჭეშმარიტი შთაგონება; წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებლობა თავს გამოყოფს პირველსავე ნაბიჯზე - და მხოლოდ ავტორის შრომისმოყვარეობას გამოავლენს, იმას, რომ მას უნდოდა ამისი და ამის გაკეთება, მაგრამ, ამასთან ერთად აღძრავს სიბრალულს, რომ ავტორმა ტყუილუბრალოდ იშრომა და ძვირფასი დრო დაკარგა (ხუციშვილი, 1954: გვ. 126).

ნიკოლოზ ბერძნიშვილის აზრით, დრამის შესაქმნელად საჭიროა ძლიერი ტალანტი, თანამედროვე განათლებით განვითარებული, „თანამედროვე საზოგადოების

ყველა საიდუმლოებათა, ყველა ხვეულთა და აღქმულ სურვილებს გაზიარებული“. ასეთი ტალანტის მქონე მწერლებად ასახელებს რუს ა.ოსტროვსკის და ფრანგულ დრამატურგს, დიუმასა და მის შვილს. შემდეგ რჩება ისტორია, რომლისგანაც დრამატული მოღვაწე ქმნის სიუჟეტს, თუმცა, ეს ყველას არ შეუძლია, მხოლოდ რჩეულ გენიოსებს, ისეთებს, როგორებიც იყვნენ გოეთე და შექსპირი. ბერძენოვის შეხედულებით საქართველოს წარსულ ცხოვრებაში დრამები (ისტორიული) ყოველდღე ხდებოდა, რასაც ხელი უნდა შეეწყო დრამის განვითარებისათვის.

ნიკოლოზ ბერძნიშვილი კერესელიძის დრამას უწუნებს სახელწოდებას და ურჩევს დაერქმია ვოდევილური ფანტაზია 5 მოქმედებად, ასევე იწუნებს იმ სახეების გამოყვანას რაც ასახა დრამაში, მისი აზრით, მედუქნე, რომელიც ულუკმაპუროდ დარჩენილ ქალს დახმარებაზე უარს ეუბნება არ შეიძლება ქართულ ხასიათს განასახიერებდეს. ვფიქრობთ, ბერძენოვი ვერ იმეტებს ქართველ კაცს ასეთი გულგრილი მოქმედებისთვის, და ეს ბუნებრივიცაა, ქართველი კაცი მუდამ იყო და არის ზნეობრივ-კულტურულად ძლიერი პიროვნება, ვინც გაჭირვების გზაზედ მყოფს უყურადღებოდ არ დატოვებს.

ბერძენოვი აფასებს კერესელიძის დრამას და ამბობს, რომ კვანძი, რომელზედაც დრამის ინტერესი ბოლომდე უნდა იყოს დამყარებული პირველი მოქმედების რამდენიმე გვერდზე იხსნება, დანარჩენი ყველაფერი დაბლანდულია. ჟურნალში დრამა ბოლომდე არაა მოთავსებული „ამის გამო ჩვენ უფლება გვაქვს დავსაკვანათ, რომ ავტორი მიხვდა თავისი დრამატული ცდის არაბუნებრივობას, დაიბეჭდა მხოლოდ ოთხი მოქმედება და ამით თითქოს უარჰყო იგი“. (ხუციშვილი, 1954: გვ. 128)

მამასადამე, ნიკოლოზ ბერძნიშვილის აზრით, იმისათვის რომ დრამა შეიქმნას საჭიროა ძლიერი ტალანტი, თანამედროვე განათლებით განვითარებული. სცენაზე კი გამოტანილი უნდა იქნეს მანკი, რომელიც მთელს წოდებას, საზოგადოებას ახასიათებს.

ლავრენტი არდაზიანი, რომელიც ხშირად არ ეთანხმებოდა ბერძენოვს, ისევ გამოეხმაურა 1859 წელს „კავკაზში“ დაბეჭდილ სტატიას და ბერძენოვის „ცისკრის“ 12 წიგნაკის მიმოხილვას შემდეგნაირად აფასებს:

ცხადად ვთქვათ, ეს არის კრიტიკა სასტიკი, უადგილო, უდროო. ამგვარი კრიტიკა, როგორც ვნახეთ მერმე, ჯერ კიდევ ადრეა „ცისკრისათვის“ (ხუციშვილი, 1954: გვ. 135). აქვე შევნიშნავთ იმას, რომ ლავრენტი არდაზიანის კრიტიკული წერილები ხშირად იბეჭდებოდა ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე, სამწუხაროდ, ისიც ჩრდილში მყოფ ავტორთა რიგში შედის, რომლის ნააზრევს ხშირად არ აქცევენ ყურადღებას, მისი წერილებიდან შეგვიძლია თამამად დავასკვნათ, რომ ისიც კარგადაა ჩახედული ლიტერატურის კრიტიკისა და თეორიის საკითხებში.

1860 წლის ჟურნალ „ცისკრის“ თებერვლის ნომერში დაიბეჭდა ნიკოლოზ ბერძნიშვილის სტატია სათაურით **უ. ცისკარის რედაქტორს** ამ წერილით შეწყდა კამათი ნიკოლოზ ბერძნიშვილსა და ლავრენტი არდაზიანს შორის „მე ლიტერატურისა ძალიან თავაზა მაქვს და იმიტომ არა განვაგრძელებ უსაგნოდ მეტყველებასა. მე ჩემის მხრით ეხლანდელი ბაასობა უ. არდაზიანთან შემირაცხავს დასრულებულად და გარდამიცია არხივში ანუ სალაროში“. (ხუციშვილი, 1954: გვ. 152)

სწორედ 1860 წელს დაბეჭდილი ამ სტატიის შემდეგ, ქართული ჟურნალის ფურცლებზე წერილები ნიკოლოზ ბერძნიშვილის ხელმოწერით ნაკლებად გვხვდება.

დასკვნა

ეროვნული ლიტერატურის მცოდნეობის ჩამოყალიბების პროცესი პერიოდულ გამოცემათა ფურცლებზე ილექება, ამიტომ საჭიროა, თვალი მივადევნოთ პრესაში გაბნეულ მასალას, თუ როგორ იდგამს ფეხს ლიტერატურის შემსწავლელი მეცნიერება.

ლიტერატურის მცოდნეობა უპირველეს ყოვლისა გვიჩვენებს ჩვენი ქვეყნის, მშობლიური ლიტერატურის დამოუკიდებლობასა და თვითმყოფადობას, ლიტერატურა ვერ წარმოგვიდგენია ჩაკეტილ ჩარჩოებში. ქართული ლიტერატურა ვითარდებოდა დამოუკიდებლად, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო, არ შეეძლო, სხვა ქვეყნის ლიტერატურული გამოცდილება არ გამოეყენებინა. როგორც ვხედავთ, ეს პროცესი უარყოფითად არ ასახულა ქართულ მწერლობაში და მას ეროვნული თვითმყოფადობა დღემდე არ დაუკარგავს.

ქართველ მოღვაწეებს, რომლებიც აშენებდნენ ქართული კულტურის მშვენიერ შენობას აშენებდნენ, თავიანთი ორიგინალური მსოფლმხედველობა შეიმუშავეს და საჭიროდ მიაჩნდათ, მოწინავე ქვეყნების ლიტერატურული გამოცდილება გაეზიარებინათ. ბუნებრივია, ქართული ლიტერატურა სხვა ქვეყნების კულტურისაგან იზოლირებული ვერ იქნებოდა. ქართული ლიტერატურის მოღვაწეები ეცნობოდნენ სხვა ქვეყნების ლიტერატურას და იფართოებდნენ თვალსაწიერს.

XIX საუკუნეში ინფორმაციის, მხატვრული ნაწარმოების საზოგადოებაში გავრცელების საუკეთესო საშუალება ჟურნალ-გაზეთები იყო. ქართველ ინტელიგენციას მოუწია ქართული ბეჭდური მედიის განვითარებისთვის საკმაოდ რთული წინააღმდეგობების გადალახვა.

სამაგისტრო ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ჟურნალ "ცისკარში" დაბეჭდილ წერილებზე, რომელთა საშუალებითაც გამოიკვეთა ბევრი უცხოელი მწერლის სახელი, რომლებსაც ხშირად ახსენებდნენ ქართველი კრიტიკოსები. XIX საუკუნის ქართული პრესა უხვად შეიცავს მასალებს, რომლებშიც აირეკლება ქართველი

მკითხველის დაინტერესება ევროპელი მწერლობით, რაც მკაფიოდ ცხადყოფს იმდროინდელი ქართველი მკითხველის ორიენტირებას.

ნიკოლოზ ბერძნიშვილი იყო ჟურნალ „ცისკრის“ პირველი ანალიტიკოსი და შემფასებელი. მისი კრიტიკული წერილები რუსულენოვანი ჟურნალის ფურცლებზე იბეჭდებოდა, რომელსაც მრავალი მკითხველი ჰყავდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. ნიკოლოზ ბერძნიშვილი თავისი კრიტიკული წერილებით მოდუნებული საზოგადოების გამოფხიზლებას ცდილობდა, რომელთა ინტერესის სფერო მხოლოდ და მხოლოდ „რკინის გზები“ და „საზოგადო სიმდიდრე“ იყო.

ნიკოლოზ ბერძნიშვილის ლიტერატურულ-კრიტიკული ნააზრევი ქართული ლიტერატურის თეორიის, ისტორიისა თუ საკუთრივ სალიტერატურო კრიტიკისათვის მნიშვნელოვანი შენაძენია.

„ცისკარი“ პირველი ქართული ჟურნალი იყო, რომლის ფურცლებიდან ქართველ საზოგადოებას გონებრივი განვითარება შეეძლო. XIX საუკუნის ქართველი ხალხი ეცნობოდა როგორც ქართველ, ისე უცხოელ მწერლებს. ჩვენი კრიტიკოსები კი ცდილობდნენ მაქსიმალურად გამოეფხიზლებინათ ქართველი ერი. მათი კრიტიკული ნააზრევი საზოგადოებას მოდუნების საშუალებას არ აძლევდა.

„კაკვაზისა“ და „ცისკრის“ ფურცლებზე გამართული პოლემიკა გვამღევეს საშუალებას, დავასკვნათ, რომ ნიკოლოზ ბერძნიშვილი (და ზოგადად მთელი საზოგადოება) კარგად იცნობდა ევროპულ და აზიურ ლიტერატურას. ქართველმა კრიტიკოსმა ჟურნალ „ცისკრის“ შეფასებებით გაგვიფართოვა თვალსაწიერი, ყურადღება გაგვამახვილებინა იმ მთავარ საკითხებზე, რაც იმდროინდელ საზოგადოებას აწუხებდა. მის წერილებში ჩანს პატრიოტიზმი და ენერგიული შრომა, რასაც ქვეყნის ინტელექტუალური დონის ამღლებისთვის გასცემდა. დაუღალავი შრომით იგი ქართველ მწერლებს სწორ გზას უჩვენებდა, რათა ახალბედა ავტორებს საზოგადოებრივ ასპარეზზე ფეხი არ დასცდენოდათ.

ნიკოლოზ ბერძნიშვილის შეფასებით, „ჟურნალი „ცისკარი“ გამოხატავს საზოგადოებრივი განვითარების იმ პირველსაწყის პროცესს, როგორც შეიმჩნევა ყველა ქვეყანაში, რომელიც ახალი ცხოვრებით იწყებს ცხოვრებას, გონებრივად იღვიძებს“.

მაშასადამე, ჟურნალებიდან განხილული წერილებით ვასკვნით, რომ ქართველი კრიტიკოსები, პუბლიცისტები და საკუთვრივ მხატვრული სიტყვის სფეროში მოღვაწე ავტორები დაინტერესებულნი იყვნენ და იცნობდნენ ინგლისელ, ფრანგ, გერმანელ და სხვა ევროპელ (ასევე აზიელ) მწერლებს. ესენი არიან: დანტე ალიგიერი, ვიქტორ ჰიუგო, ბობილევი, ტეერი, ბასტია, შექსპირი, ბაირონი, ლაფონტენი, კონრად კიფერი, ბელინსკი, მარმონტელი, როჟე დე ბოვარი, მარი ბროსე, დანტე ალიგიერი, პუშკინი, კრილოვი, გოგოლი, ზეიდლიცი, გრიბოედოვი და სხვები.

საბოლოოდ შეიძლება ვთქვათ, რომ ლიტერატურა ერთ კონკრეტულ ჩარჩოში ვერ იარსებებს, ის სცდება საზღვრებს, მუდმივი კავშირი აქვს საზღვარგარეთელ მწერლებთან რაც აფართოებს და აღრმავებს ხალხის თვალსაწიერს. საზღვარგარეთელი მწერლებს ოდითგან იცნობს ქართველი ერი, რაშიც ერთ-ერთი მთავარი როლი რელიგიას აკისრია. ქართველმა კრიტიკოსმა, ნიკოლოზ ბერძნიშვილმა კი ჟურნალ „ცისკარში“ დაბეჭდილი სტატიების შეფასებებისა და ჯანსაღი კრიტიკის საშუალებით წარმოდგენა გაგვიფართოვა XIX საუკუნის ქართული თუ უცხოური მწერლობის შესახებ. მისი ნააზრევი უცხოელი მწერლების შემოქმედების, პროზისა და პოეზიის, თუ ზოგადად ლიტერატურის შესახებ არის საკმაოდ ღრმააზროვანი და ყურადსაღები, ამიტომ მისი, როგორც კრიტიკოსის სახელი მხოლოდ საარქივო ფურცლებზე არ უნდა დარჩეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბზიანიძე, გ. *ქართული ლიტერატურის ისტორია*. ტ. III. თბილისი: 1969.
2. ასათიანი, გ. *ქართული ლიტერატურის ისტორია, (XIX საუკუნის მეორე ნახევარი)*. ტ. IV. თბილისი: 1974.
3. ბერძნიშვილი, მ. *ილიას პირველი რეცენზენტი (ბიბლიოგრაფიული ეტიუდი)*. მაცნე, 1987, N3. გვ. 87-96.
4. გვერდწითელი, გ. *ქართული ლიტერატურის ისტორია, (XIX საუკუნის დასასრული, XX საუკუნის დასაწყისი)*. ტ. V. თბილისი: 1982.
5. კეკელიძე, კ. *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*. ტ. I. თბილისი: 1980.
6. კოტეტიშვილი, ვ. *ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.)*. რედ. დ. გამეზარდაშვილი. თბილისი: 1965. გვ. 178-183.
7. მახარაძე, ა. *ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*. ტ. III. თბილისი: 1965.
8. რადიანი, შ. *ახალი ქართული ლიტერატურა*. თბილისი: 1954.
9. ხუციშვილი, ს. *ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, კრესტომათია*. ტ. I. თბილისი: 1954.
10. ჯოლოგუა, თ. *ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (XIX საუკუნე)*. თბილისი: 2013.